კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნინო გურგენიშვილი

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა, როგორც ღირებულებითი კომპონენტი ეროვნული უსაფრთხოების ფორმატში–საქართველოს და აზერბაიჯანის მაგალითზე

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი, ვახტანგ მაისაია.

თბილისი 2019 წელი

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ,,ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა, როგორც ღირებულებითი კომპონენტი ეროვნული უსაფრთხოების ფორმატში–საქართველოს და აზერბაიჯანის მაგალითზე“ იკვლევს ეთნიკურ უმცირესობათა როლს, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვაში. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დადგინდეს, რა გავლენა და მნიშვნელობა აქვს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას კავკასიის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების თვალსაზრისით. წარსული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე შეფასდება საფრთხეები, კონფლიქტების წარმოშობისა და მიმდინარეობის პროცესი და მისი გადაჭრის გზები. ასევე მნიშვნელოვანია კავკასიის რეგიონში არსებული ,,გაყინული კონფლიქტების“ გავლენის წარმოჩენა, რეგიონის ეკონომიკის სტაბილურ განვითარებაზე. კავკასიის რეგიონის ეთნიკური კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება მნიშვნელოვანი და აქტუალურია საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. განხილული იქნება ასევე ეთნიკური უმცირესობების დაცვა, როგორც რეგიონული და მდგრადი განვითარების ელემენტი.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომით შესაძლებელი იქნება კავკასიის რეგიონში არსებული ეთნიკური პრობლემების წარმოჩენა და საკითხის გადაჭრის გზების ძიება.

"Protection of Ethnic Minorities Rights as a Valuable Component in the National Security Format - Georgia and Azerbaijan"

Annotation

The present master's thesis, "Protection of Ethnic Minorities Rights as a Valuable Component in the National Security Format - Georgia and Azerbaijan" examines the role of ethnic minorities in the country's national security. The aim of the master's thesis is to determine the impact and importance of the protection and stability of ethnic minorities in Caucasus in terms of security in the Caucasus region.

Based on the analysis of the past practice, the threats, the process of conflict origins and flow and ways of solving them will be assessed. It is also important to demonstrate the impact of "Frozen Conflicts" in the Caucasus region on the stable development of the region's economy. Peaceful settlement of the ethnic conflicts in the Caucasus region is important and essential for the international society. The protection of ethnic minorities will also be reviewed as an element of regional and sustainable development.

With the help of the presented master's thesis it will be possible to present the existing problems in the Caucasus region and seek ways to solve the issue.

Nino Gurgenishvili

სარჩევი

შესავალი 5

თავი I ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები 13

1.1 უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესი წარსულში და გამოწვევები 21–ე საუკუნეში ...13

1.2 სამხრეთ კავკასიის ეთნიკური და რელიგიური მრავლფეროვნება 22

1.3.ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები და მათი ინტეგრირებულობის ხარისხი ,,საქართველოს მაგალითზე“ 26

თავი II ეთნიკური უმცირესობები, როგორც დემოკრატიული მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი კავკასიის რეგიონში 33

2.1.კავკასიის რეგიონში არსებული ეთნიკური კონფლიქტები და მათი აღმოფხვრის პერსპექტივები 33

2.2,,გაყინული კონფლიქტები“ და მათი გავლენა რეგიონის აქტორების სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობაზე 41

2.3 საქართველოსა და აზერბიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები და ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის საკითხი 47

დასკვნა 54

გამოყენებული ლიტერატურა 62

შესავალი

21-ე საუკუნეში ადამიანის უფლებების დაცვა, ხელშეწყობა და უმცირესობათა უფლებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს და ხელს უწყობს ქვეყნების პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობას, ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებასა და ქვეყნის იმიჯს საერთაშორისო ასპარეზზე.

ეთნიკური მრავალფეროვნება ძირითადი კომპონენტია თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. 21–ე საუკუნეშიც კი, ეთნიკური უმცირესობების საკითხები, და მათი პრობლემები ჯერ კიდევ გადაუჭრელია სხვადასხვა ხარისხით მსოფლიოს სხვადასახვა ქვეყანაში, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ საფრთხეს ასიმეტრიული საფრთხეების კონტექსტში. მნიშვნელოვანია რეგიონში შემუშავებული იქნას უსაფრთხოების დაცვის გზები, რამეთუ ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაცია კავკასიის რეგიონში, შესაძლოა გახდეს საფრთხე საერთაშორისო თვალსაზრისითაც. წარსულში არსებული მრავალი კონფლიქტი, რომელიც დღემდე მოუგვარებელია წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს რომელსაც შესაძლოა მოყვეს დესტაბილიზაცია და დაპირისპირება. საერთაშორისო თვალსაზრისით, მსგავსი დანაშაულები საერთაშორისო დანაშაულს უტოლდება, რომლის თავიდან აცილება თითოეული ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

კავკასიის რეგიონში მოქმედი აქტორების სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ხასიათდება განსხვავებულობით და ინტერესთა კონფლიქტით ართულებს და რეგიონში უსაფრთხობის განცდასა და სტაბილური გარემოს შექმნას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომმა პერიოდმა რეგიონში უსაფრთხოების კუთხით სხვადასხვა პრობლემები ჭამოჭრა. ბრძოლამ ძალაუფლებისათვის გააღვივა ეთნიკური კონფლიქტის კერები, ხოლო ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება დღემდე ხშირ შემთხვევაში უშედეგოა.

რეგიონის მიმართ ინტერესი ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, განპირობებული იყო მისი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობით. კავკასიის რეგიონი ხშირად მოიხსენიება როგორც ,,გზაჯვარედინი“ და ,,დერეფანი“ ეკონომიკური და საკომუნიკაციო კუთხით, რომელში მიმდინარე პროცესებიც აისახება საერთაშორისო თანამეგობრობაზეც. ეთნიკური სიჭრელე და რელიგიური მრავალფეროვნება კი ყოველთვის ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს გარე ძალების ჩარევით– გაღვივებულიყო კონფლიქტი. იგივე პრობლემების წინაშე დგას დღევანდელი კავკასია, რომელიც არასტაბილურობით გამოირჩევა სოციალურ–ეკონომიკური და ეთნიკური პრობლემების ქონით.

რეგიონში არსებული ლოკალური დონის ეთნიკური უმცირესობების პრობლემები იქცა საერთაშორისო დონის საფრთხედ. ამან განაპირობა ის, რომ რეგიონში უსაფრთხოების დაცვა და ეთნიკური უმცირესობების უფლებები, როგორც რეგიონული ასევე საერთაშორისო თვალსაზრისით პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში ეროვნული უსაფრთხოების დაცვასთან. ცივილიზებული სამყაროსთვის ეთნიკურ უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხი საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე პირდაპირ კავშირშია ეროვნულ უსაფრთხოებასთან და მისი დაცვის საკითხი ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკურ სტატუსზე 21–ე საუკუნეში უდიდეს გავლენას ახდენს.

საკვლევი კითხვები

1. რატომ არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე?

2. რა კავშირშია ეროვნულ უსაფრთხოებასთან ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხი და როგორ აისახება მისი აღსრულება ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკურ სტატუსზე?

3. როგორ აისახება ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის თემა რეგიონული სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების პირობებზე?

ჰიპოთეზა

ეთნიკურ უმცირესობათა დაცვა, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებითი კომპონენტი, განსაკუთრებით კავკასიის რეგიონში, გადაიქცა თითოეული აქტორისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნული ინტერესის სტატუსად და მისი შეზღუდვა წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის ექზისტენციურ საფრთხეს, რომელსაც შეიძლება მოყვეს მაღალი დონის რეგიონალური დესტაბილიზაცია.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები

მიზნები:

- ნაშრომის მიზანია ეთნიკური უმცირესოების როლის წარმოჩენა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვაში
- კავკასიაში არსებული ეთნო–კონფლიქტების განხილვა და რეკომენდაციების წარმოდგენა, რომელიც ეფექტიანი იქნება სტაბილურობისა და მშვიდობის კუთხით.
- ეთნიკური უმცირესობების დაცვის, როგორც რეგიონული და მდგრადი განვითარების ელემენტის წარმოჩენა

ამოცანები:

- წარსული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე საფრთხეების შეფასება და თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების თავიდან აცილება.
- ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის მნიშვნელობის წარმოჩენა კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების თვალსაზრისით.
- ეთიკური კონფლიქტების ანალიზი და მათი გადაჭრის გზები.

მეთოდოგიური ჩარჩო

- დემოკრატიული თეორა
- კონსტრუქტივიზმის თეორია
- ინგლისის სკოლის თეორია
- კაუფმანის ,,ეთნიკური ომების“ თეორია

დემოკრატიული თეორია– რომელსაც ნაშრომში გამოვიყენებ ძირითადად გულისხმობს მოქალაქეების მონაწილეობას და ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ეხმრება თავად მოქალაქეებს აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სოციალური თანასწორობა რომელიც აერთიანებს მოქალაქეების კონსტიტუციურ და ფუნდამენტურ უფლებებს გამოიყენება როგორც დემოკრატიული ჩართულობის ერთ–ერთი მთავარი წინაპირობა. დემოკრატიული მონაწილეობა მოქალაქეებს ეხმარება და საშუალებას აძლევს, შეინარჩუნოს არსებული სოციალური თანასწორობა. 1960-70 იან წლებში სოციალური მოძრაობების გაძლიერებამ წინა პლანზე წამოსწია მონაწილეობითი დემოკრატიის საკითხი. იმისათვის, რათა ქვეყანა უფრო მეტად გახდეს ორიენტირებული დემოკრატიულ ღირებულებების დაცვაზე, აუცლებელია გაიზარდოს მოქალაქეების ჩართულობა. უკანასკნელ წლებში განვითარებულმა ნორმატიულმა თეორიულმა მიმდინარეობებმა სიტყვის თავისუფლება და მოქალაქეთა მონაწილეობა ცენტრალურ კატეგორიად აქცია.[1]

[1] პოლიტიკური თეორია; თბილსი 2014; გვ.11
http://politscience.info/filemanager/files/doqtorantura/Oxsford-Teoria-2014.pdf?fbclid=IwAR3L6g2VEH1c1M8tbpMAPgPcGwNwQqeykc6zBjaTiHIKszIBYIw919TkS-4

კონსტრუქტივიზმის თეორია– მისი მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

1. ადამიანური ურთიერთობები, ისევე როგორც საერთაშორისო ურთიერთობები, შედგება ძირითადად იდეებისა და აზრებისაგან და არა მატერიალური მდგომარეობის ან ძალისაგან.
2. ძირითადი იდეური ელემენტები, რომლებსაც კონსტრუქტივისტები ეყრდნობიან არის ის რწმენები, რომლებიც ფართოდ არის გაზიარებული ხალხის მიერ.
3. ეს საერთო რწმენები გამოხატავენ ხალხის ინტერესებს და იდენტურობას.
4. კონსტრუქტივისტები შეისწავლიან იმ გზებს, რომლის მეშვეობითაც ყალიბდებიან და გამოიხატებიან ურთიერთობები.

კონსტრუქტივისტებს ღრმად სწამთ, რომ ერი და ეროვნება–ორივე სიციალური კონსტრუქციაა რომლებიც იქმნება დროსა და სივრცეში. კონსტრუქტივიზმის იდეოლოგიის მიხედვით მთავარი ყურადღება ექცევა არა რწმენისა და იდეების უბრალოდ გავრცელებას გავრცელებას, არამედ იმას, თუ რამდენად იზიარებს საზოგადოება მას.[2]

ინგლისის სკოლა–ეს სკოლა მის საფუძველშივე აღიარებს კონსტიტუციასა და ძალას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირს. ინგლისის სკოლის თეორია ინდივიდს განიხილავს, არა როგორც სახელმწიფოზე დაქვემდებარებულს, არამედ ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას და სახელმწიფოსთან შედარებით წინა პლანზე აყენებს. აღნიშნული თეორია ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მსოფლიო

[2] აკობია ე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია; თბილისი 2006. გ.ვ. 48
http://politscience.info/filemanager/files/doqtorantura/Oxsford-Teoria-2014.pdf?fbclid=IwAR2tcctdpR8ItbeSLabR-HCFRc_jK9HxBVX9a8BpljKbzNd8nuxKLZJaoKY

პოლიტიკა არის ადამიანების მიერ შექმნილი გარემო, რომელიც მათმიერვე უნდა იქნეს მართული.[3]

კაუფმანის მიერ შემუშავებულ ,,ეთნიკური ომების“ თეორიაში პოლიტიკური კონფლიქტი წარმოდგენილია სოციალური კონფლიქტის ერთ–ერთ სახედ. კაუფმანი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური კონფლიქტი წარმოადგენს ძალადობის საგანს, რომელიც გამოყენებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კონფლიქტი გვხვდება არა მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც მისი არსის ამსახველია, არამედ იგი წარმოადგენს პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილსაც. პოლიტიკურ ცხოვრებაში კონფლიქტების მართვა გულისხმობს სპეციფიკური რესურსების გამოყენებას, ღირებულების, სტილების, ძალაუფლების ინსტიტუტების მოწყობასა და წარმართვას. პოლიტიკური კონფლიქტი ხშირად წარმოადგენს განსხვავებული პოლიტიკური სუბიექტების, ღირებულებების, ინტერესებისა და შეხედულებების შეჯახების ადგილს.

კაუფმანის თეორიის მიხედვით, ეთნიკური ომის მიმდინარეობისას, უსაფრთხოების დილება დაპირისპირებულ მხარეებს შორის, არ იქნება მოგვარებული და მინიმუმამდე დაყვანილი, თუ არ მოხდება დემოგრაფიულად დაპირისპირებული ძალების განცალკევება. ასევე, თეორიის მიხედვით, ომის თავიდან აცილება შესაძლებელია მესამე ძალის ჩარევით, რომელიც „იძულებით მშვიდობას“ დაამყარებს.[4]

---

[3] აკობია ე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია; თბილისი 2006. გ.ვ. 10 http://politscience.info/filemanager/files/doqtorantura/Oxsford-Teoria-2014.pdf?fbclid=IwAR2tcctdpR8ItbeSLabR-HCFRc_jK9HxBVX9a8BpljKbzNd8nuxKLZJaoKY

[4] მაღრაძე გ. მაისაია ვ. 21–ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია:მითი და რეალობა–რეგიონული და გლობალური ასპექტები. თბილისი; გამომცემლობა ,,უნივესალი“ 2017წ. გვ.53–57

კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება თვისობრივი და შედარებითი კვლევის მეთოდები, კონტენტ ანალიზი და ასევე Case study-რომელიც დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ მისი გამოყენება დააინტერესებს, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების თემაზე მომუშავე ექსპერტებს, ასევე სტუდენტებსა და ეთნიკური უმცირესობებისა და ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების თემით დაინტერესებულ პირებს.

ნაშრომში იქნება წარმოდგენილი რეკომენდაციები და პრობლემის გადაჭრის გზები, კავკასიის რეგიონში უსაფრთხოებისა და ეთნიკური დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

- წარსული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე საფრთხეების შეფასება და თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების თავიდან აცილება.
- ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის მნიშვნელობის წარმოჩენა კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების თვალსაზრისით.
- ეთიკური კონფლიქტების ანალიზი და მათი გადაჭრის გზები.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

- პიპინაშვილი დ. ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“ პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2009

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ერთ–ერთი მწვავე პრობლემა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და კონფლიქტების გავლენა კავკასიის სტაბილურობის პროცესზე. ძირითადად საუბარია კავკასიის ,, კონფლიქტების გადაწყვეტის მცდელობებზე და წარმოდგენილია რეკომენდაციები აფხაზეთის, ცხინვალისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიტების დასარეგულირებლად.

- სონღულაშვილი ა. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. თბილისი,2018

  აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია როგორც ქართული ასევე უცხოური წყაროები და სამეცნიერო დოკუმენტები. ნაშრომში შესწავლილია ეროვნულ უმცირესობათა მნიშვნელობა და როლი საბჭოთა პერიოდში. დეტალურადაა ასევე აღწერილი კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ–ეკონომიკური და სოციალური თავისებურებები, რომელიც ანალიზის პროცესში დიდ როლს თამაშობს.

- სამხრეთ კავკასია:რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები. სამეცნიერო კონფერენცია; ბათუმი 2010 წელი 16 ნოემბერი.

  აღნიშნულ სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია დარგის სპეციალისტების ნააზრევი, რომლებიც საუბრობენ რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივებზე რეგიონში, ასევე განხილულია ეთნიკური კონფლიქტები და ტრანსკასპიური ახალი გეოპოლიტიკური არეალები.

თავი პირველი

თავი I ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები

1.1 უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესი წარსულში და გამოწვევები 21–ე საუკუნეში

თუ დღევანდელ მდგომარეობას გადავავებთ თვალს, დავინახავთ, რომ საერთაშორისო სამართალში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული უმცირესობების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების იურიდიულად სავალდებულო დეფინიცია. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ძირითადი პრინციპის გამოყენება, რომლის არსებითობაც უმცირესობათა ცნებასთან მიმართებაში, გამომდინარეობს მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტებიდან.[5]

ეთნიკური უმცირესობების არსებობას ხშირ შემთხვევაში ადასტურებს მხოლოდ ფაქტი და არა რაიმე საერთაშორისო დოკუმენტები. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს არაა ვალდებული, უმცირესობები დაყოს კატეგორიებად, უმცირესობად თუ უმრავლესობად. რელიგიური, ეთნიკური, ენობრივი თუ სხვადასხვა უმცირესობები, რომელიც წაარმოადგენენ ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობას არ არიან დამოკიდებული იმაზე, აღიარებენ თუ არა მათ ქვეყანაში როგორც უმცირესობებს, ისინი უბრალოდ ობიექტური მიზეზების არსებობის გამო იწოდებიან უმცირესობად.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლბეს ეძლევათ უფლება თავად გადაწყვიტონ იქნებიან თუ არა წოდებულნი უმცირესობად, რამეთუ კანონის მიხედვით ყველა მოქალაქეს აქვს პირადი არჩევანის გაკეთების უფლება. ამ შემთხევაში, ინდივიდს აქვს უფლება თვითიდენტიფიკაცია მოახდინოს და

[5] ხაინდრავა ნ. ეთნიკური უმცირესობები: ძირითადი მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი. თბილისი; 2008წ. გვ 4

სურვილის მიხედვით აირჩიოს მოქცნენ თუ არა მას, როგორც განსხვავებულს. მნიშვნელოვანია ასევე გაეროს საინიციატივო ჯგუფის პოზიცია, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით, რომელიც ამბობს, რომ თვითიდენტიფიკაცია ეთნიკური უმცირესობის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად უნდა გვევლინებოდეს. [6]

გამომდინარე აქედან, არ შეიძლება ადამიანთა სეგრეგაცია ამა თუ იმ ნიშნით, იქნება ეს ეთნიკური, კულტურული, რელიგიული, ენობრივი თუ სხვა, რათა ისევ და ისევ მათ თავად დავუტოვოთ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ აღნიშნული.

1992 წლის ივლისში ჰელსიკში მიღებული გადაწყვეტილებით ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) ეროვნულ უმცირესობათა კომისრის უმაღლესი თანამდებობა დააწესა, როგორც ,,შეძლებისდგვარად ადრეულ ეტაპზე კონფლიქტების თავიდან აცილების ინსტრუმენტი“ უმცირესობათა უფლებების დაცვის პირველი მექანიზმი ამოქმედდა 1976 წლის 23 მარტს, რომელიც მიღებულ იქნა გაეროს მიერ. მის 27–ე პუნქტში კი ნათქვამია ,,იმ ქვეყნებში, სადაც არსებობენ, ეთნიკური,რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, მათ არ უნდა ეთქვათ უარი უფლებებზე, იმავე ჯგუფის წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღასრულონ საკუთარი რელიგია, შეასრულონ საკუთარი წეს–ჩვეულებები და აგრეთვე ისარგლებლნ მშობლიური ენით“ მეოცე საუკუნში, როდესაც გაეროს მიერ მიღებულ იქნა ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია უფრო ქმედითი გახდა ეთნიკურ თუ სხვა უმცირესობათა უფლებების დაცვის მექანიზმები, რადგან აღნიშნული დეკლარაციაში გაწერილი უფლებები და თავისუფლებები ადამიანს ენიჭებოდა რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის თუ სხვა მდგომარეობის მიუხედავად.

---

[6]ადამიანის უფლებათა კომისიის 2002/57–ე რეზოლუციის შესაბამისად, უმაღლესი კომისრის ანგარიში ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებზე კონფლიქტების თავიდან აცილებასთან მიმართებაში. 28 თებერვალი 2003.

უფრო გვიან, 1990 წლის პარიზის ქარტიამ მეტად დახვეწა ეთნიკურ უმცირესობათა ის უფლებები, რომელიც მანამდე გაერომ მიანიჭა მათ. ქარტიით მინიჭებული უფლებებით დაიწყო ახალი ერა, დემოკრატიის, ერთიანობისა და მშვიდობის. ქარტიაში განმარტებულია რომ საერთაშორისო აქტორები ადასტურებენ უმცირესობების ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და სხვა უფლებებს და პირდებიან რომ მაქსიმალურად დაიცავენ მათ თვითმყოფადობასა და უფლებებს. ქარტიაზე ხელმოწერის შემდგომ ქვეყნებმა, რომლებმაც სრულად გაიზიარეს ეს ღირებულებები, ერთხმად დაგმეს დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის გამოვლინებები და აღიარეს თანასწორუფლებიანობა.

მიუხედავად იმ მრავალი ქმედითი, ნაბიჯებისა რომელიც იდგმებოდა უმცირესობების უფლებების დასაცავად, არ იყო სრულყოფილი და გამართული. სწორედ ამის გამო 1995 წლის თებერვალში სტრასბურგში მიიღეს კონვენცია რომელიც ასევე ეხებოდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას საერთაშორისო ასპარეზზე. კონვენციის ფარგლებში ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულება რომ დაიცავდნენ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისა. საერთაშორისო კონვენციებმა დიდი როლი და გავლენა იქონია ცივილიზებულ სამყაროზე. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მრავალმა ქვეყნებმა, საერთაშორისო კონვენციების დახვეწასთან ერთად ფეხი აუწყეს საკუთარი ქვეყნების კანონმდებლობითა და კონსტიტუციების განმტკიცებით ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას, რომლის კარგი მაგალითიცაა ესპანეთისა და იტალიის ქვეყნებში კონვენციების შესაბამისად გამოცემული კონსტიტუციები, რომლებმაც თავიდან ააცილებინა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს შიდა დაპირისპირება და ეთიკური შუღლი.[7]

[7] ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი. ოქტომბერი, 1996 წელი. გვ.1–4; 11–14; (https://www.osce.org/ka/hcnm/32185?download=true&fbclid=IwAR0lManrGL7Ie2a2SyLObLWcfRQph1NyB_BmT5DTWK3vMjU0ioJFIVvuBiQ)

XXI საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში (99 ქვეყანაში) ცხოვრობდა 291 განსხვავებული ეროვნების უმცირესობა, რაც ჯამში 340 მილიონ ადამიანს შეადგენდა. აქედან 80 მილიონი ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელი იყო. ეროვნული სახელმწიფოები მოიცავენ უამრავ რელიგიურ, ენობრივ და რეგიონალურ დაჯგუფებებს, რომლებსაც განსხვავებული პრობლემები და ბარიერები გააჩნიათ. თანამედროვე მსოფლიოში სუვერენული სახელმწიფოები და საერთაშორისო აქტორები ცდილობენ იმ ქვეყნებში სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მრავლად გვხვდებიან, და ქვეყნები რომლებიც გამოირჩევიან პოლიეთნიკურობით შეიმუშაონ ძირითადი ორი მოდელი, რომელიც უმცირესობების პრობლემებსა და მათ საჭიროებებზე ფოკუსირდება. პირველი მოდელის მიხედვით ხდება ეთნიკური უმცირესობებისა და ქვეყანაში მცხოვრები უმრავლესობის ღირებულებების შერწყმა ასიმილაციის გზით, რაც გულისხმობს არა სრულ ასიმილაციას, არამედ ღირებულებების და კულტურის გაზიარებას. ამ შემთხვაში ეთნიკური უმცირესობა უმრავლესობასთან მიმართებაში იმყოფება თანასწორუფლებიანად და შესაძლოა დომინანტურ დგომარეობაშიც აღმოჩნდეს. მეორე მოდელად მოიაზრება მხოლოდ კულტურული პლურალიზმი, რის მიხედვითაც ქვეყანაში არა მხოლოდ ერთი სახის გაბატონებული კულტურაა, არამედ არსებობს მრავალფეროვნება როგორც ენობრივი ასევე რელიგიური, კულტურული და ეთნიკური.[8]

XX საუკუნის 90-იან წლებში გამოიკვეთა ე.წ არშემდგარი სახელმწიფოების რიცხვის ზრდა. ამ სახელმწიფოები ძირითადად იყვნენ ის ქვეყნები, სადაც ეთნიკური უმცირესობების მხრიდან სეპარატიზმის საფრთხე არსებობდა, და სადაც, სახელმწიფო იყო ფაქტიურად დაშლილი ცალკეულ ნაწილებად. მეცნიერების გარკვეული ნაწილის აზრით, მომავალში მსოფლიოს ძირითადი პოლიტიკური წინააღმდეგობა იქნება დაპირისპირება სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს

[8]სონღულაშვილი ა. ,,საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა“ თბილისი 2018; გვ.42–43;

შორის. თუ გადავხედავთ XXI საუკუნის დასაწყისს, დავინახავთ რომ სუვერენულ სახელმწიფოთა სამ მეოთხედზე მეტს ჰყავდა ეროვნული უმცირესობების დიდი რაოდენობა სახელმწიფოში, რომლებიც ჯამში შეადგენდნენ დედამიწის მოსახლეობის ერთ მეექვსედს.[9]

ისტორიის კვალდაკვალ მოხდა ეთნიკურ უმცირესობათა განვითრება, რომელსაც ისტორიული პერიოდიდან გამომდინარე სხვადასხვა საჭიროებები და პრობლემები აწუხებდა და ამოძრავებდა. თუ დავაკვირდებით ეთნიკურ უმცირესობათა ისტორიას, დავინახავთ, რომ იგი თავისი შინაგანი სტრუქტურით, ბუნებითა და ფუნქციით ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, რომელსაც ხშირად უწევს მისთვის სრულიად უცხო და რთულ პირობებში მოახდინოს ადაპტაცია და შეეგუოს რთულ პირობებს, რომელშიც უწევს არსებობა და ცხოვრება, თანაც ისე, რომ შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა და განსხვავებულობა უმრავლესობასთან მიმართებაში და არ გახდეს ნებსით თუ უნებლიედ ამილაციის მსხვერპლი. ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხი უმნიშვნელოვანია გლობალური თვალსაზრისით და იგი ხშირ შემთხვევაში ზოგადსაკაცობრიო პრობლემას წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ ეთნიკური საზღვრები და სახელმწიფოებრივი საზღვრები ერთმანეთისაგან დაშორებული და დისჰარმონიულია, ეს პრობლემა უფრო მეტად მწვავედ გვევლინება. პოლიტიკურ საზღვრებში თავისდაუნებურად ექცევიან ეთნიკური უმცირესობები, რომლებსაც უწევთ პოლიტიკურად დომინირებულ ერთან ერთად თანაცხოვრება, სადაც ისინი წარმოდგენილნი არიან იმ სახელმწიფოს კუთვნილებად, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

ცივილიზებულ მსოფლიოში ეთნიკურ უმცირესობების უფლებები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები ადამიანის უფლებთა დაცვის თითქმის ყველა სამართლებრივ დოკუმენტებშია წარმოდგენილი.

---

[9] სონღულაშვილი ა. ,,საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა“; თბილისი 2018; გვ.6

საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხზე და მნიშვნელობაზე, რამეთუ დემოკრატიულ საზოგადოებად ჩამოყალიბება ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის გარეშე ქვეყანაში თითქმის წარმოუდგენელია. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს, როგორიცაა მათი იდენტობის აღიარება, არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობა, მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლების მიწოდება უმირესობებისათვის. სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ტარდებოდეს ღონისძიებები როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე რათა უმცირესობების მონაწილეობა საჯარო ცხოვრებაში, მათი პრობლემების აღმოფხვრა და დაკმაყოფილება მაქსიმალურად ეფექტურად ხორციელდებოდეს. მათი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გააუმჯოესებს საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებას და თავისთავად აღმოფხვრის დასაქმების კუთხით არსებულ პრობლემებსაც, რომელიც მრავალ ქვეყანაში და მათ შორის კავკასიის ქვეყნებშიც მწვავედ დგას.

აუცილებელია ეთნიკურ უმცირესობათა საკითხზე და მათი უფლებების დაცვაზე მსჯელობისას, ყურადღება გავამახვილოთ ისეთ მიმართულებებს როგორიცაა:ეთნიკურ უმცირესობათა იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვა და ხელშეწყობა, რაც მნიშვნელოვანია მათი განვითარებისათვის, საკუთარი იდენტობის შესანარჩუნებლად და ინტეგრაციისათვის საზოგადოების დომინანტურ ჯფუფთან მიმართებაში. მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ხელი შევუწყოთ მათ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალური თანასწორობის პრინციპს, რაც გულისხმობს, ზემოთ აღნიშნულ სფეროებში მათ თანასწორ და თანაბარ უფლებებს. უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ასევე მაქსიმალურად იქნეს გაძლიერებული ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ასევე

კულტურულ ცხოვრებაში.[10] ამ გარანტიების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც უმცირესობების ინტეგრაციისა და მათი უფლებების დაცვის კუთხით, ასევე სახელმწიფოს იმიჯის თავლსაზრისით საერთაშორისო ასპარეზზე.

როგორც ავღნიშნე, ეროვნული უმცირესობების უფლებები ასევე წარმოადგენს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის ნაწილსაც. გამომდინარე აქედან, სახელმწიფოები ცდილობენ მაქსიმალურად შეუწყონ ხელი საერთაშორისოდ ნაკისრ ვალდებულებებს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს თავისუფლება გამიჯნოს დისკრიმინაციისაგან. სამოქალაქო თანხმობა და სურვილი, დაცული იყოს ყველა ადამიანის თავსუფლება, მათ შორის კი ეთნიკური უმცირესობისა აუცილებელი პირობაა რათა სახელმწიფომ უფრო კარგად შეძლოს დაიცვას უმცირესობების უფლებები და თავისუფლებები, რომელიც ჰარმონიულად იარსებებს ტოლერანტულ გარემოში.

დროსთან ერთად მიდგომები და დამოკიდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციებისა პოზიტიური კუთხით იცვლებოდა და დღემდე ასე გრძელდება ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში. ეუთო წევრ სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციებს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით, რომელიც მდგომარეობს ისეთი ღონისძიებების გატარებაში რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ინტეგრაციას, დაახლოებას, განვითარებას, თვითმყოფადობის შენარჩუნებას, როგორც ეთნიკური თვალსაზრისით, ასევე ენობრივი კუთხითაც. ბარიერები რომლებიც არსებობს უმცირესობებს შორის, ინტეგრაციის პროცესის კვალდაკვალ უფრო გვარდება და ეხმარება მათ ბარიერების დაძლევაში. დღესდღეისობით ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში აკრძალულია დისკრიმინაციის როგორც პირდაპირი გამოვლინება ასევე არაპირდაპირი, რაც

[10]ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) "ეთნიკურ უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა", 2019
https://emc.org.ge/ka/products/erovnul-umtsiresobata-datsvis-shesakheb-charcho-konventsiis-sakonsultatsio-komitetis-sakartveloze-mokhseneba?fbclid=IwAR2bua7psxZMzJTp2D0-PYABRGI7rGEmbyMl8RLudrm74hmrokzR_C20jCw

გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ხელს შეუყობს, არ შელახავს და უარყოფით გავლენას არ მოახდენს ისეთ გარემოებებზე, რითაც ეთნიკური უმცირესობების საყოვეთაოდ აღიარებული უფლებები შეიძლება შეილახოს. საერთაშორისო სამართლის მიხედვითაც უმცირესობათა დაცვის კუთხით, საკმარისი არაა მხოლოდ თანასწორობა კანონის წინაშე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან იდგმებოდეს პოზიტიური და ეფექტური ნაბიჯები რაც მისცემს საშუალებას ეთნიკურ უმცირესობებს გამოხატონ საკუთარი თავისუფალი ნება და ხელი შეუწყონ რეალურ თავისუფლებას ქვეყანაში.

როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოს მხრიდან ისეთი პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვასა და განვითარებას, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ასევე შეუწყოს ხელი მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის პროცესს. გარდა იმ ვალდებულებისა, რომელიც ეკისრება სახელმწიფოს, რომ დაიცვას უმცირესობის ენის სწავლება, ასევე აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას იმ სახელმწიფო ენის ცოდნა, რომელშიც ცხოვრობენ უმცირესობები. მსგავსი მიდგომის დაცვა არცერთი საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე არ ევალდებულება სახელმწიფოს, თუმცა იმისათვის რომ მოხდეს ინტეგრაცია და ჩართულობა, განსაკუთრებით კი ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, რომელიც უშუალოდ კავშირშია უმცირესობების უფლებებთან ვერ მოხდება სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე. სახელმწიფო ენის არცოდნა ქმნის უდიდეს ბარიერსა და იზოლაციას უმცირესობასა და უმრავლებას შორის, რამეთუ ვერ დგება კომუნიკაცია ვერცერთ სახელმწიფო თუ ადგილობრივ ინსტიტუტებთან და უმცირესობა რჩება იზოლირებული, რაც უდიდეს გავლენას ახდენს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.

მიუხედავად რიგი პოზიტიური ნაბიჯებისა, რომელიც ხორციელდება ეთნიკური უმცირესობებს უფლებების დაცვის კუთხით, დღესაც მრავალ ქვეყანაში მათი უფლებები არაა ბოლომდე დაცული. ამის მიზეზი კი ხშირად ის ენობრივი ბარიერია, რომლის გამოც ისინი ვერ ახერხებენ მონაწილეობას სახელმწიფო

პოლიტიკის ფორმირებაში და ხშირ შემთხვევაში გარიყულად გრძნობენ თავს. იმისათვის, რომ შეიცვალოს მიდგომები აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდებოდეს და უზრუნველყოფილი იქნას უმცირესობებისათვის სკოლამდელი აღზრდისას ხარისხიანი განათლება, ასევე სახელმწიფო ენის სწავლებათან ერთად, უნდა შეუწყოს სახელმწიფომ ხელი უმცირეობებს, რათა საკუთარ ენაზე მიიღონ განათლება. იმისათვის რომ მოგვარდეს პრობლემა საჭიროა ასებობდეს პოლიტიკური ნება სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობების პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება არ წარმოადგენს ერთადერთ გზას რომელიც მოაგვარებს ამ პრობლემებს. ასევე უდიდესი როლი აქვთ თავად ეთნიკური უმცირესოების წარმომადგენლებს, მათ აქტიურობასა და ჩართულობას. იმისათვის რომ გადაიჭრას ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემები, აუცილებელია პირველ რიგში კარგად იქნას შესწავლილი მათი საჭიროებები რაც თავისთავად გამოიწვევს ინტეგრაციის პროცესის დააჩქარებს. თუმცა ხშირ შემთხვევებში ინტეგრაციის პროცესს აფერხებს საზოგადოების ნეგატიური და არატოლერანტული დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ, რომელიც გამოწვეულია შიშით მიიღონ მათგან განსხვავებული ინდივიდები საკუთარ სოციუმში. საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულება ხშირად დისკრიმინაციულია, რომელიც შესაძლოა ეთნიკურ წმენდამდეც მივიდეს, რომელიც ადამიანის უფლებათა კუთხით ერთ–ერთი უდიდესი დანაშაულია. ხშირად საზოგადოების ეთნოცენტრიზმული დამოკიდებულება შესაძლოა მივიდეს ეთნიკურ წმენდამდეც, რომელიც უსასტიკესი დანაშაულია და არღვევს ადამიანის უფლებებს. ეთნიკური წმენდის გამოვლინება მსოფლიოში ,,ჰოლოკოსტის“ სახელითაა ცნობილი, სადაც დაიღუპა უამრავი უდანაშაულო ადამიანი. ეს ფაქტი ნათელი მაგაითია იმისა, თუ ადამდე შეიძლება მივიდეს სახელმწიფო ეთნიკური პრობლემების არაღიარების და მოუგვარებლობის შემთხვევაში.

დღესდღეისობით საერთაშორისო სამართალი კრძალავს ყველა იმ ქმედებას, რომლის ფარგლებშიც ხდება ეთნიკური უმცირესობების იძულებითი ასიმილაციის პროცესი. ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას და იზრუნოს მისი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების განვითარებაზე და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის გამოვლენის გარეშე, რაც თავისთავად განაპირობებს ინტეგრაციის ისეტ პროცესს, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობები შეისწავლიან სახელმწიფო ენას და წარმოდგენილნი იქნებიან სხვადასხვა პოლტიკურ თუ კულტურულ აქტივობებში. სახელმწიფო უნდა გვევლინებოდეს გარანტად იმისა, რომ არ მოხდება ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევა და შებღალვა, ასევე სახელმწიფო უნდა იყოს გარანტი, რომ არ შელახავს უმცირესობების თვითმყოფადობას და ინტეგრაციის პროცესი არ გადაიზარდება სახელმწიფოს მხრიდან იძულებით ასიმილაციაში.

ყოველივე ზემოთქმულის განხილვის შემდეგ მივდივართ დასკვნამდე, რომ მიუხედავად იმისა რომ მრავალი ქვეყანა დგამს პოზიტიურ და ქმედით ნაბიჯებს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დასაცავად პრობლემა კვლავ ინარჩუნებს აქტუალურობას და მოითხოვს საერთაშორისო მექანიზმების უფრო მეტად გაძლიერებას, რომელიც ხელს შეუწყობს უმცირესობებს, დაიცვან, იბძოლონ და ჰქონდეთ საშულება უფლებების დარღვევისას გაასაჩივრონ მათ წინაშე წარმოქმნილი უსამართლობის ფაქტები. ამის საპირწონედ სახელმწიფო ვალდებულია შეასრულოს ყველა ის ვალდებულება რომელიც ნაკისრი აქვს საერთაშორისოდ ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის სფეროში.

1.2 სამხრეთ კავკასიის ეთნიკური და რელიგიური მრავლფეროვნება

კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს მის მრავალფეროვნებას, ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული ნიშნით. კავკასია წარმოადგენს

ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონს, რომელიც იწოდება ხალხთა მუზეუმად მასში მცხოვრები ხალხების ეთნიკური მრავალფეროვნებისა და სიჭრელის გამო. იგი ყოველთვის წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს დამაკავშირებელ რგოლს ევროპასა და აზიას შორის. უძველესი დროიდან რეგიონში გადიოდა საზღვრები, რომლებიც ერთმანეთისაგან ყოფდა ეთნოსთა განსახლების არეალებს. თუ გადავხედავთ ისტორიულ წარსულს, დავინახავთ, რომ კავკასიის რეგიონი ყოველთვის წარმოადგენდა მთავარ აქტორს, რომელიც ჩართული იყო საერთაშორისო საკომუნიკაციო ქსელში. საბჭოთა კავშირის პერიოდში კავკასიის როლი, რომელსაც ეკისრებოდა სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია დაკნინდა და შესუსტდა, თუმცა სსრკ–ს დაშლის შემდგომ რეგიონმა კვლავინდებური, ისტორიული როლი დაიბრუნა. სამხრეთ კავკასიის ეთნოლინგვისტური და რელიგიური რუკის წარმოდგენა შედარებით ადვილია. იგი მოიცავს სამ მთავარ ხალხს, აზერბაიჯანელებს (6 მლნ), ქართველებს (4 მლნ) და სომხებს (3,5 მლნ. კავკასიაში). ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან ყველა რესპუბლიკა მრავლეთნიკურია, მხოლოდ სომხეთი ხასიათდება მონოეთნიკურობით სადაც მოსახლეობის 95% სომხები, 2% რუსები და 2%–ზე ნაკლები იეზიდი ქურთები არიან. რაც შეეხება საქარველოს, საქართველოში სატიტულო ერი შეადგენს მოსახლეობის 70%–ზე ნაკლებს, სადაც ქვეყნის ძირითად ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები და აფხაზები. აზერბაიჯანში აზერბაიჯანელები შეადგენენ 83%–ზე მეტს, დაღესტნელი ხალხები 3%–ზე მეტს, რუსები–2,5%–ს.[11]

კავკასიის რეგიონს, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური, განსაკუთრებული დინამიურობა ახასიათებს. მისი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა ყოველთვის განაპირობებდა იმას, რომ რეგიონი ყოფილიყო განსხვავებული ინტერესების შეჯახებისა და თანხვედრის ადგილი.

---

[11] ჩიქოვანი ნ. რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში; თბილისი 2006; გვ.4–5
http://old.ucss.ge/publication/006%20Religia%20da%20Kultura%20Samxret%20Kavkasiashi.pdf

კავკასიის რეგიონი დაახლოებით 30 მილიონი ადამიანისაგან შემდგარ მრავალენოვან ჯგუფებს აერთიანებს, რომლებსაც ერთმანეთისაგან განასხვავებს სოციალურ–პოლიტიკური თუ კულტურული მახასიათებლებები. რეგიონი ხასიათდება შიდარეგიონალური მიგრაციული პროცესებით. კავკასიის ურბანული გარემოსათვის ასევე დამახასიათებელია შიდა კონფლიქტები და დაპირისპირებები.

კავკასიის რეგიონი აერთიანებს, როგორც ქრისტიანულ ასევე ისლამური აღმსარებლობის ადამიანებს. ეროვნულობის საბჭოთა პოლიტიკის გატარებით, ისევე როგორც 1920-იანი და 1930-იანი წლების მკაცრი ანტირელიგიური კამპანიის შედეგად, საზოგადოების საფუძვლიანი სეკულარიზაცია მოხდა. ამასთან ერთად გაჩნდა აშკარა ტენდენცია რელიგიური მრწამსის კულტურალიზაციისა, რის შედეგადაც რელიგია და ეთნიკურობა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს.[12]

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში. დასავლეთიდან მას ეზაღვრება შავი ზღვა, სამხრეთ–დასავლეთიდან თურქეთი, სამხრეთ–აღმოსავლეთიდან სომხეთი და ჩრდილო–აღმოსავლეთით–აზერბაიჯანი.

საქართველო ერთ–ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, რომლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს მართლმადიდებლები შეადგენენ. საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული, რომელიც განეკუთვნება იბერიულ–კავკასიურ ენათა ქართველურ ჯგუფს.[13] ქართული საზოგადოებისათვის მართლმადდებლური ეკლესია ფასეული და ძვირფასია ეროვნული იდენტიფიკაციის თვალსაზრისითაც.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა მდებარეობს სამხრეთ კავკასიის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით მას ეზაღვრება რუსეთის ფედერაცია, ჩრდილოდასავლეთით–საქართველო, სამხრეთ–დასავლეთით სომხეთი და თურქეთი, სამხრეთით–ირანი, აღმოსავლეთით– კასპიის ზღვა.

---

[12] საკონტაქტო სივრცე კავკასია: ენები,რელიგიები, ხალხები და კულტურები. თბილისი 2017; https://ge.boell.org/ka/2017/04/21/sakontakto-sivrce-kavkasia-enebi-religiebi-xalxebi-da-kulturebi

[13] სსრკ ენციკლოპედია, ტომი–5, გვ.69

აზერბაიჯანის ძირითად რელიგიას ისლამი წარმოადგენს, რომელიც გავრცელებულია ასევე ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ძირითადად აზერბაიჯანში დომინირებს შიიზმი, მიუხედავად იმისა რომ მოსახლეობის ასევე დიდ ნაწილს წარმოადგენენ სუნიტები და სუფისტური მიმდინარეობები. განსხვავება რომელიც რელიგიასთან მიმართებაშია აზერბაიჯანში, განსხვავებით საქართველოსაგან და სომხეთისაგან, ვლინდება იმაში, რომ რელიგია აზერბაჯანში კონსტიტუციის ძალით პრივილეგირებული არ არის. ძირითად რელიგიად აზერბაიჯანში წარმოდგენილია ისლამი, თუმა ასევე გავრცელებულია ქრისტიანობა და იუდაიზმი.

სომხეთი მდებარეობს სამხრეთ კავკასიის მთიანეთში, რომელსაც ჩრდილოეთით–საქართველო, აღმოსავლეთით–აზერბაიჯანი, დასავლეთით–თურქეთი, ხოლო სამხრეთით–ირანი ესაზღვრება.

სომხეთის აღმსარებლობის დაქვემდებარებაში შედის მრავალი ეკლესია თუ საეპისკოპოსოები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხესა ქვეყანაშია მიმოფანტული. სომხური აღმსარებლობა ნაციონალურ–მონოფიზიტურია, რომელიც იყოფა რამდენიმე ნაწილად: კილიკიის, იერუსალიმისა და სტამბოლის სომეხთა საკათალიკოსო. ყველა ზემოთ აღნიშნულ განშტოებას თავისი მოძღვარი ჰყავს, თუმცა მათ შორის ყველაზე მაღლა ეჩმიაძინის სრულიად სომეხთა კათალიკოს–პატრიარქია.

სომხები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცხოვრობენ, რომლებიც სომხეთის მრავალრიცხოვან და გავლენიან დიასპორას წარმოადგენენ. სომხეთის რესპუბლიკაში მრავლად ცხოვრობენ იეზიდები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, უკრაინელები, აისორები. სომხეთის ეკლესიას უდიდესი როლი ენიჭება როგორც ქვეყნის შიგნით პოლიტიკის ფორმირებაში და მოსახლეობასთან ურთიერთობაში, ასევე დიასპორასთან მჭიდრო კავშირში.

1.3.ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები და მათი ინტეგრირებულობის ხარისხი „საქართველოს მაგალითზე“

დროის ცვლასთან ერთად შეიცვალა ის დამოკიდებულებები და გარემო პირობები, რომელიც ეთნიკურ უმრავლესობას უმცირესობის მიმართ ჰქონდა. იგი წარსულთან შედარებით უფრო მეტად ტოლერანტულია განსხვავებულის მიმღებლობის თვალსაზრისით.

უახლოესი ისტორიის მანძილზე, თუ გადავხედავთ სახელმწიფოების პოლიტიკას ეთნიკურ უმცირესობის მიმართ, დავინახავთ, რომ დღევანდელთან შედარებით იგი გაცილებით განსხვავებული იყო, რომელიც გამოიხატებოდა ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის დაბალი მაჩვენებლით. სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით ეთნიკურ უმცირესობებს არ ენიჭებოდათ არანაირი მნიშვნელობა.

განსხვავებული იდენტობის ადამიანებს, როლებსაც შეუძლიათ შექმნან განსხვებული გარემო მათ გარშემო და რომლებიც ხშირ შემთხვევაში უმცირესობას წარმოადგენენ მრავალი დაბრკოლებები ექმნებათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სოციოლოგი ლუის უირტი (Louis Wirth;1945) უმცირესობების ჯგუფებს განიხილავდა, როგორც ადამიანთა ერთობას, რომლებიც უმრავლესობისაგან გამოყოფილნი არიან თავიანთი ფიზიკური თუ ქცევითი მახასიათებლებით, რომლის გამოც ისინი ხშირად აღმოჩნდებიან არათანაბარ მდგომარეობაში, სადაც ილახება მათი უფლებები, გამოხატვის თავისუფლებები. ეს გარემოებები კი მათ აქცევს კოლექტიური დისკრიმინაციის მსხვერპლებად. ეთნიკურ უმცირესობათა ფგუფის წევრობა ნიშნავს საერთო ფიზიკური ან ქცევითი მახასიათებლების მორგებას. უმცირესობათა ჯგუფის წევრი, რომელიც ასახავს ან იმეორებს ჯგუფის ფიზიკურ ან/და ქცევით მახასიათებელს, მიეკუთვნება ამ ჯგუფის სტატუსს.

შესაბამისად, იგი ექვემდებარება ისეთივე მოპყრობას, როგორსაც მთელი ჯგუფი. გამომდინარე აქედან, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის შესახებ არსებული წარმოდგენა მიეწერება კონკრეტულ პირს და პირიქით-ერთი ადამიანის ქცევითი თავისებურებები ზოგადდება მთელს ჯგუფზე, რაც გავლენას ახდენს დანარჩენი წევრების აღქმაზე.[14]

ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესს ძირითადად განსაზღვრავს ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც მაქსიმალურად იცავს და ხელს უწყობს იმ ვალდებულებების დაცვასა და აღიარებას, რომელიც ადეკვატურ და თანასწორ პირობებს ქმნის ქვეყანაში, ეთნიკურ უმცირესობათა კულტური, პოლიტიკური თუ სამოქალაქო ინტეგრაციისათვის. სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება და მართვის სწორი მექანიზმების და მიდგომების შემუშავება უმნიშვნელოვანესია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისათვის.

ისტორიულად საქართველო წარმოადგენს განსხვავებული ეთნიკური თუ რელიგიური ჯფუფების სამშობლოს. მოსახლეობის აღწერის ბოლო მონაცემებით (2012 წლის მოსახლეობის საერთო აღწარმოება) ეროვნეული უმცირესობები საქართველოში ქვეყნის მოსახლეობის 16,2%–ს შედგენს. ყველაზე დიდი პროცენტული წილი აზერბაიჯანელებზე მოდის (6,6%), რომლებიც მჭიდროდ არიან დასახლებულნი ქვემო ქართლის რეგიონში. რიგით მეორე ეთნიკურ ჯფუფს წარმოადგენენ სომხები (5,7%), რომლებსაც მოყვებიან ებრაელები, უკრაინელები, პოლონელები და სხვები. მათი პროცენტული წილი ქვეყნის მოსახლეობის 4%–ს შეადგენს. [15]

თუ გადავხედავთ ეთნიკურ უმცირესობათა საცხოვრებელ არეალს, დავინახავთ, რომ მათი განვითარების დონე იცვლება საცხოვრებელი გარემოს

---

[14]სტუდენტების განწყობა უმცირსობებისადმი და მედიის როლი; თბილისი 2017; გვ.7–11
https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi-research-cover-geo-web.pdf?fbclid=IwAR1QrBYzw7LL1F-3kLfbAZAtHk4i8JO_eLc5K5OVr7JvgzZtU1K71UneHyI

[15] ეთნიკური ჯგუფები საქართველოში; ამერიკის ხმა; 2012 წ. 27 აპრილი
https://www.amerikiskhma.com/a/article----------149269405/1210133.html

შესაბამისად. იმ ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემას, რომლებიც დასახლებულნი არიან დედაქალაქისგან შორს, რაიონებში, წარმოადგენს სახელმწიფო ენის არასრულად ცოდნა. სახელმწიფო ენის ცოდნა, უმცირესობებს უადვილებს პრობლემების გადაჭრას და მარტივს ხდის მათ სამოქალაქო ინტეგრაციას/ჩართულობას.

საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო, თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება, რომელიც 2006 წლის შემდგომ პერიოდში დაიწყო. მთავრობამ ძალაში მიიღო ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომელმაც ქვეყანაში ჩამოაყალიბა მართვის მექანიზმები და სტრატეგიები. ამის მიხედვით, შემუშავდა ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა.[16]

ზემოთ ხსენებული კონცეფციის მთავარი მიზანი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაა, რომელიც ხელს შეუწყობს განსხვავებული, თუმცა ამავე დროს საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება ტოლერანტული და საკუთარ განსხავებულობას, ნაცვლად სუსტი მხარისა, გამოიყენებს როგორც მის ძლიერ მხარეს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების პროცესში.მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს უმცირესობების ასიმილაციის პროცესს, თუმცა ამასთანავე არსებობს საფრთხე რომ შესაძლოა უმცირესობები გაქრნენ ასიმილაციის გზით, როდესაც ისინი საკუთარ ტრადიციებსა და კულტურას ჩაანაცვლებენ დომინანტური კულტურის ტრადიციებით. ასიმილაციის ყველაზე მიღებულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს მიდგომა, როდესაც ორივე ჯგუფი, უმცირესობებიც და დომინანტური კულტურის თემიც ერთმანეთში გაცვლიან კულტურულ მახასითებლებს, რომლის შედეგადაც დაამკვიდრებენ ახლებურ სოციალურ ნორმებს რომელიც იძლევა საშუალებას

[16]დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია; სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი; თბილისი 2011 წ. გვ:47
http://issa-georgia.com/files/Reports/UNDP/Report-GEO-001_0_demokratizacia.pdf

ტოლერანტულ გარემოში განვითარებისა და და უსაფრთხოდ ცხოვრების საშუალებას.

თუ გადავხედავთ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, დავინახავთ, რომ სახელმწიფო ენის ფლობა აუცილებელი პირობაა. მიუხედავად ამისა, ენის არცოდნა კვლავ რჩება უდიდეს პრობლემად და დაბრკოლებად, განსაკუთრებით რეგიონებში. ეს გარემოება აფერხებს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს, აქცევს მათ იზოლაციაში და ართულებს ურთიერთობას სახელმწიფო და ადგილობრივ სტრუქტურებთან, სადაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადმიანისტრაციული წარმოება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. რიგ შემთხვევებში თავად უმცირესობების მხრიდანაც პასიური დამოკიდებულება იგრძნობა სახელმწიფო–პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის კუთხით, ისევდაისევ ენობრივი ბარიერის არსებობის გამო. როგორც ადგილობრივ, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა ძალზედ მწირეა. შესაბამისად, მათ არ ეძლევათ საშუალება და ბერკეტები, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თავი იგრძნონ ჩვენი ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად.

მრავალ საჭიროებებს შორის, უმცირესობებთან მიმართებაში, უმნიშვნელოვანესია სრულყოფილი განათლებისა და სახელმწიფო ენის შესწავლის მხარდაჭერა. სპეციალური პროგრამები და სწორად და კვალიფიციურად გადამზადებული მასწავლებლები, ხელს შეუწყობენ სახელმწიფო ენის უკეთ ათვისებისა და შესწავლის პროცესს, რომელიც პრობლემის გადაჭრის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია.

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების, იდენტობისა და თვითმყოფადობის დაცვის მიზნით, ქვემოთ გამოვყოფ შემდეგ მიმართულებებს:

- სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის ხელშეწყობა, აღიარება და დაცვა. რითაც, თავიდან

ავიცილებთ უმცირესობების ნების საწინააღმდეგო ასიმილაციის პროცესს.

- აუცილებელია გაიზარდოს ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის ხარისხი და ინტენსივობა რათა უმცირესობების წარმომადგენლები თავად იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში.
- სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში ეთნიკური უმცირესობების ჩართვა და მათი პრინციპის დაცვა;

ჩამოთვლილი ღონისძიებების გასატარებლად, სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ აქტიური პოლიტიკის წარმოებას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, უნდა არსებობდეს სპეციალური პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადენლებს მისცემს საშუალებას, მიიღონ განათლება როგორც მშობლიურ, ასევე სახელმწიფო ენაზე და შეძლონ რელიგიური თუ კულტურული თვითმყოფადობის დაცვა. დეცენტალიზაცია სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ორგანოებთან, საუკეთესო საშუალებაა ეთნიკური უმცირესობების ჩასართავად სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კიდევ ერთი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები აწყდებიან, არის სატელევიზიო სივრცე და მედია საშუალებები. ენის ბარიერის არსებობის გამო, უმცირესობის წარმომადგენლები ხშირად ხდებიან მსხვერპლნი და მართულნი სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ. იმ პროპაგანდისტული მესიჯების გასანეიტრალებლად აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს მრავალფეროვანი ციფრული თუ ბეჭდური მედიის განვითარებაზე, რომელიც ხელმისაწვდომი და გასაგები იქნება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის.

ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილს შეადგენენ, მოქცეულნი არიან ინფორმაციულ ვაკუუმში.

შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს მათი საინფორმაციო ვაკუუმის ამოვსებაზე და მედია საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. რამეთუ ისეთ პატარა ქვეყნებს და ერებს, როგორიც საქართველოა, სასიცოცხლოდ სჭირდება ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში. ვფიქრობ საქართველოსათვის ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის საკითხი და მათი საჭიროებების გააზრება-დაკმაყოფილება და ასიმილაცია ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს საკითხად უნდა იქცეს.

საქართველო, სადაც ქვეყნის უმაღლესი კანონი კონსტიტუციაა, იზიარებს საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპესა და ღირებულებებს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ მოქალაქეებს აქვთ უფლება, მშობლიური ენით ისარგებლონ დისკრიმინაციისა და შეზღუდვის გარეშე და სურვილებისამებრ განავითარონ საკუთარი კულტურა.

საქართველო ასევე წევრია ყველა ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტების, რომლებიც პირდაპირ ავალდებულებენ ქვეყანას, აღმოფხვრილ იქნას დისკრიმინაცია და აკისრებს პოზიტიურ ვალდებულეებს უმცირესობათა დაცვის კუთხით.

მიუხედავად იმ ვალდებულებისა, რომლის შესრულებაც საქართველომ იკისრა საერთაშორისო ხელშეკლულებებით, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით, ხშირ შემთხვევაში ფორმალურ მიდგომებზეა დაფუძნებული ამიტომაც ეფექტინად და სრულყოფილად არ იდგმება ის ნაბიჯები, რომელიც დააჩქარებს იტეგრაციის პროცესს. თუ გადავხედავთ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მიერ დაარსებული ორგანიზაციებს, დავინახავთ, რომ მათი საქმიანობა ძირითადად ეფუძნება ადგილობრივი პრობლემების მოგვარებას. ხოლო ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, უმცირესობების მხრიდან პასუხგაუცემელი რჩება, რაც თამაშგარე მდგომარეობაში ტოვებთ მათ.

სახელმწიფოს აქვს ვალდებულება სათანადოდ მიაქციოს ყურადღება და უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნები რომელიც გამოითქმება მათი მხრიდან, ხოლო ეთნიკურმა უმცირესობებმაც, თავის მხრივ უნდა უზრუნველყონ, რომ მათი მოთხოვნები პირველ რიგში იყოს სწორი და მისაღები რათა მათ შეძლონ საკუთარი წვლილი შეიტანონ როგორც ადგილობრივი სტრუქტურების მუშაობაში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების.

მას შემდეგ, რაც საქართველომ გააფორმა ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, რომელიც სახელმწიფოს აძლევს რეკომენდაციებს შექმნას თანაბარი შესაძლებლობები, რომელიც დააკმაყოფილებს უმცირესობების საჭიროებებს, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს შორის უმნიშვნელოვანესი გახდა მედიასაშუალებების დახვეწა, რომელიც მაქსიმალურად იქნება ხელმისაწვდომი ეთნიკური უმცირესობებისათვის.

საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებენ სახელმწიფოს, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი უთანასწორობა, რომელიც ზრდის კონფლიქტების წარმოშობის რისკს. ხშირად ამახვილებენ ყურადღებას, რომ ქვეყანაში არსებულმა უთანასწორო პოლიტიკურმა პროცესებმა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში შეიძლება წარმოქმნას არასტაბილური გარემო და გაზარდოს კონფლიქტების წარმოშობის რისკი.

საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა და მათი მშობლიური ენის გამოყენების შესაძლებლობა გაამყარებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს ქვეყანაში და შექმნის ტოლერანტულ გარემოს უმცირესობათა ინტეგრირებულობის კუთხით.

თავი მეორე

თავი II ეთნიკური უმცირესობები, როგორც დემოკრატიული მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი კავკასიის რეგიონში

2.1.კავკასიის რეგიონში არსებული ეთნიკური კონფლიქტები და მათი აღმოფხვრის პერსპექტივები

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისათვის და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის მნიშვნელოვან და მწვავე პრობლემას წარმოადგენს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით რეგიონული კონფლიქტების მოგვარება და დარეგულირება. ამ კუთხით, კი კავკასიის რეგიონი რომელიც ეთნიკური, კულტურული, რელიგიური მრავალფეროვნების ცენტრია, განსაკუთრებულად რთულ სივრცეს წარმოადგენს კონფლიქტების დარეგულირებისა და მისი თავიდან აცილების კუთხით. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საკითხს.

თანამედროვე ლიტერატურასა და სხვადასხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კონფლიქტის გაგების მრავალ მნიშვნელობას ვხვდებით, თუმცა არ არსებობს კონფლიქტის ცნების შესახებ საერთო აზრი.

დღესდღეისობით ყველა მკვლევარი ერთხმად თანხმდება იმაზე, რომ კონფლიქტები წარმოიშობა ორ ან მეტ მხარეს შორის, რომლებიც წარმოადგენენ კონფლიქტის ძირითად მონაწილეებს. საერთაშორისო ურთიერთობებში ასეთ სუბიექტებად გვევლინებიან სახელმწიფოები, ან გაერთიანებები და ჯგუფები, ხოლო შიდა კონფლიქტების დროს–ოფიციალური ხელისუფლება, სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებები, ასევე ეთნიკური თუ რელიგიური დაჯგუფებები.

ბოლო პერიოდში სახელმწიფოებს შორის არსებულ კონფლიქტებსა თუ ქვეყნის შიგნით მიმდინარე კონფლიქტებში აქტიურ როლს თამაშობენ ძირთადი სუბიექტების გარდა, ირიბი მონაწილეებიც, რომელთა შორისაა სხვადასხვა ბლოკები და მოძრაობები, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ არ იყვნენ კონფლიქტის პროცესში ჩართული მაგრამ ირიბად ახდენდნენ გავლენას მიმდინარე პროცესებზე. [17]

ეთნიკური კონფლიქტები ხშირად წარმოიშობა იმის გამო, რომ ზოგიერთი ეთნოსის წარმომადგენელს უჩნდება სურვილი, თავად შექმნას სახელმწიფო, რათა სრულად დაიცვას და გაამყაროს საკუთარი თვითმყოფადობა. განსხვავებული ეთნოსები ერთმანეთთან ურთიერთობაში გამოირჩევიან კონფლიქტოგენურობით. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა, რათა აწარმოოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს კონფლიქტების რისკს. კავკასიაში არსებული ეთნიკური კონფლიქტები, რომელიც ხასიათდება ეთნოსთაშორისი მაღალი დაპირისპირებით, ჯერ სსრკს ხოლო შემდეგ რუსეთის ხელისუფლების მიერ ხდებოდა სამიზნე ეთნიკური სეპარატიზმის წარმოშობის, ეთნოსთაშორისი დაპირისპირების გაღვივების, რითაც იგი ცდილობდა საკუთარი ძალის დემონსტრირებას და გეოპოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილებას. კავკასია ასევე განსხვავდება ეთნოგეოგრაფიული განლაგების კუთხითაც, სადაც ვხვდებით ერთმანეთისაგან ძალზედ განსხვავებულ კულტურებს, ტრადიციებს და ერებს. რომლებსაც განსხვავებული ეროვნული ინტერესები და საერთაშორისო საგარეო პოლიტიკური კურსი აქვთ.

კავკასიის რეგიონი საუკუნეების განმავლობაში ექცეოდა მრავალი ქვეყნის ინტერესების განხორციელების პოლიგონად. კავკასია ყოველთვის გამოირჩეოდა არასტაბილურობით, რომელსაც ასევე მძიმე სოციალურ–ეკონიმიკური პრობლემები ჰქონდა. ეს გარემოება გარე ძალებს საშუალებას აძლევდა დაბრკოლების გარეშე

[17] პიპინაშვილი დ. ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი; თბილისი 2009. გვ.12–18

ჩარეულიყვნენ მის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ კურსში. კავკასიის რეგიონში თავმოყრილი გლობალური თუ ლოკალური მნიშვნელობის პრობლემები, რომლებიც დღემდე გადაუჭრელია, მოითხოვს როგორიც რეგიონალური ისე არარეგიონალური აქტორების უდიდეს ძალისხმევას.[18]

კავკასია უმნიშვნელოვანესი დამაკავშირებელი ცენტრია, როგორც ევროპასა და აზიას, ასევე ქრისტიანულ და ისლამურ სახელმწიფოებს შორის, რომელიც ყოველთვის იყო სხვადასხვა სახელმწიფოებისა და იმპერიების ინტერესების გადაკვეტის წერტილი. ეთნოგეოგრაფია კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაცას, რამეთუ ერთმანეთს თითქმის არსად არ ემთხვევა პოლიტიკურ–ადმინისტრაციული და ეთნიკური საზღვრები. მე–19 საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული ეთნიკურ პოლიტიკას კავკასიაში რუსეთი განაგებდა, რომელსაც გონივრულად მოფიქრებული სტრატეგია ჰქონდა. იგი ითვალისწინებდა მდგომარეობის დაძაბვას, როგორც შიდა პოლიტიკურ დონეზე, ასევე აღვივებდა დაპირისპირებას მეზობელ რესპუბლიკებს შორის.[19]

რუსეთის ჩანაფიქრი გამართლა, რამეთუ ეთნიკურ საფუძველზე შექმნილი ავტონომიური ერთეულები კავკასიაში იქცა სეპარატიზმის, დაპირისპირებისა და ეთნოკონფლიქტის საბაბი, რომელიც რუსეთმა პოლიტიკურად სათავისოდ გამოიყენა. იგი ყოველთვის გამოდიოდა და დღემდე ცდილობს გამოვიდეს ექსკლუზიური მედიატორის როლში, რომელსაც სამწუხაროდ ნაცვლად კონფლიქტების მოგვარებისა, ჩიხში შეჰყავს კონფლიქტების დარეგულირების პროცესი. რუსეთი დღემდე საერთაშორი სამართლის პრინციპების გვერდის ავლით გვევლინება, როგორც მისი საზღვრების გარშემო, ასევე სხვა ქვეყნების კონფლიქტების მთავარ ინსპირატორად.

კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები წარმოადგენენ უდიდეს პრობლემას რეგიონისათვის, რაც უქმნის საფრთხეს რეგიონალური უსაფრთხოების

---

[18]კვიციანი ჯ. ,,კავკასია და კავკასიელები"; გამომცემლობა „უნივერსალი"; თბილისი 2012. გვ: 125–126
[19]დავითაშვილი ზ. ქართული დიპლომატია; წელიწდეული. თბილისი 2001; გვ: 5–6

შენარჩუნებასა და სტაბილურობას. საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელსაც უდიდესი როლი ენიჭება კონფლიქტების მოგვარების საკითხში, ცდილობს უფრო და უფრო მეტად იყოს ჩართული მიმდინარე პროცესებში, რაც რუსეთისათვის პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ იგი კარგავს მონოპოლიას და ,,მედიატორის" როლს კონფლიქტების დარეგულირების საკითხში. კავკასიის რეგიონში ეჯახება რეგიონალური და გლობალური აქტორების გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები.

მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რუსეთმა განაგრძო კონფლიქტების ინსპირირების პროცესი აფზახეთსა და „სამხრეთ ოსეთში". რუსეთი ცდილობდა კვლავ საკუთარი სცენარის მიხედვით განევითარებინა მოვლენები, რამეთუ საერთაშორისო თანამეგობრობა დაეტოვებინა „თამაშგარე მდომარეობაში".

ისტორიულად აფხაზეთი ოდითგანვე იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი. აფხაზეთში მაცხოვრებელი აფხაზი მოსახლეობა ქართველებთან შედარებით ყოველთვის უპირატესი უფლებებით სარგებლობდა, რომლებიც დაახლოებულნი იყვნენ იმპერიულ ძალებთან. ეს მოძრაობა ნელ–ნელა უკიდურეს ხასიათს იღებდა რომელიც საბოლოოდ დასრულდა ლოზუნგით ,,აფხაზეთი ქართველების გარეშე" რუსეთთან დაახლოებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა მოახერხეს და შექმნეს სასურველი პოლიტიკური სიტუაცია, რომელსაც საბოლოოდ მოჰყვა აფხაზეთში დე–ფაქტო ხელისუფლების გამოცხადება რის შემდეგაც საქართველომ დაკარგა კონტროლი აფხაზეთზე.

რაც შეეხება სომხურ–აზერბაიჯანულ კონფლიქტს მთიანი ყარაბაღის გამო, ისტორიულად ყარაბაღი წარმოადგენდა აზერბაიჯანის ტერიტორიას როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ასევე დამოუკიდებელი აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებშიც.

ყარაბაღის კონფლიქტის ინპირატორადაც გვევლინება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი, რომელმაც იოსებ სტალინის ხელით მიუერთა აზერბაიჯანს სომხებით

დასახლებული ყარაბაღი, რითაც გათვალა, რომ შეიქმნებოდა მუდმივი დავა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომლითაც რუსეთი შეძლებდა გაეკონტროლებინა ორივე სახელმწიფო და მთავარი როლი ეკისრა ამ კონფლიქტის ,,დარეგულირებაშიც".

დღესდღეისობით, როგორც სომხეთი, ასევე აზერბაიჯანი აცხადებს რომ მთიანი ყარაბაღის ტერიტორია მის ისტორიულ საზღვრებში შედიოდა. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში წარსული არსებული ისტორიული საზღვრები და წინაპართაგან მიღებული მემკვიდრეობა თანამედროვე პოლიტიკის ფორმირებაში არ იღებს მონაწილეობას, რამეთუ ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ გლობალიზაციისა და განვითარების შედეგად ჩამოყალიბებულ საზღვრებში გააგრძელებდნენ თანაცხოვრებას.

კიდევ ერთი კონფლიქტი, რომელიც ცნობილია, როგორც ქართულ–ოსური კონფლიქტი (1918–1920 წლებში) გადაუჭრელ და მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენს დღემდე. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისაგან განსხვავებით, ქართულ–ოსურ დაპირისპირებას დღემდე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის სახელი აქვს. კონფლიქტის მიზეზებს შორის, ისევ და ისევ გვხვდება საბჭოთა კავშირის არასწორი საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელსაც იგი აწარმოებდა მეზობელ ქვეყნებთან.

მას შემდეგ, რაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, 1922 წელს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელსაც შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი ეკავა.ქართულ–ოსური კონფლიქტის ორფაზიანი ნაწილის შეიარაღებული ბრძოლები 1991 წელს დაიწყო, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული და რუსული ქვედანაყოფები. კონფლიქტის შეიარაღებული დაპირისპირება დასრულდა 1992 წელს და ხელი მოეწერა დოკუმენტს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ .[20]

[20]კვიციანი ჯ. ,,კავკასია და კავკასიელები"; გამომცემლობა „უნივერსალი"; თბილისი 2012; გვ: 122–125

წლების განმავლობაში რუსეთი აძლიერებდა გავლენის სფეროებს და ე.წ „სამხრეთ ოსეთი“ ექცეოდა მისი ბატონობის ქვეშ. „პასპორტიზაციის“ პროცესმა კი საბოლოოდ შეუწყო ხელი ოსი მოსახლეობის რუსეთის მოქალაქეებად გადაქცევას. ამის პარალელურად, სეპარატისტები უფრო მეტად ახლოვდებოდნენ ხელისუფლებასთან საქართველო კი, ამის კვალაკვალ კარგავდა პოზიციებს ცხინვალში.

2008 წლის აგვისტოს ომმა საქართველოს საბოლოოდ დააკარგვინდა კავშირი და გავლენა როგორც აფხაზეთის რეგიონზე ასევე ცხივნვალის რეგიონზე. ზემოთ ჩამოთვლილ კავკასიის კონფლიქტების განხილვისას ნათელია რომ რუსეთს ,,ლომის წვლილი“ მიუძღვის მათ დაწყებასა განვითარებაში და დღემდე ცდილობს ხელი შეუწყოს სეპარატისტულ მოძრაობებს ამ რეგიონებში.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური ვექტორები განსხვავდება ერთმანეთისაგან, რამეთუ სომხეთი აშკარა პრორუსულ პოლიტიკას ატარებს, აზერბაიჯანი შეძლებისდაგვარად ცდილობს დაიკავოს ნეიტრალური პოზიცია, ხოლო საქართველო აშკარა პროდასავლური ორიენტაციისაა. პრორუსული განწყობები, რომელიც სომხეთის ხელისუფლებაში არსებობს უდიდესი ხელისშემშლელი ფაქტორია კონფლიქტების დარეგულირების პროცესში. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების და თანამეგობრობის მრავალწლიანი მცდელობისა, რომლებიც ცდილობს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას, უშედეგოდ სრულდება, რამეთუ არც აზერბაიჯანში და არც სომხეთში არაა მზაობა კომპრომისებზე, რომელიც აუცილებელი ფაქტორია კონფლიქტების დარეგუირებისა და მოლაპარაკების პროცესში.

კონფლიქტის მოსაგვარებლად აუცლებელია, ორივე სახელმწიფომ თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგას, რომელსაც სათავეში ქვეყნის პირველი პირები უნდა ჩაუდგნენ. სამხრეთ კავკასია ვერ განვითარდება სოციალურ–ეკონომიკურად, თუ არ მოხდება კონფლიქტების დარეგულირება და მშვიდობიანი

გადაწყვეტა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გამართულ დავას მთიანი ყარაბაღის დასაბრუნებლად სახელმწიფოთაშორისი დავის სახე აქვს.

საერთაშორისო თანამეგობრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც კონფლიქტის წარმოშობის დღიდან ჩართულნი არიან მისი მოგვარების პროცესში, არაეფექტურად მოქმედებენ. კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები, რაც გულისმობს გავლენის სფეროების გადანაწილებას ამერიკას, რუსეთს, ევროკავშირსა და ნატოს შორის, ხელს უშლის კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის პროცესს.

კონფლიქტის მიმდინარეობისას, დღემდე არ განსაზღვრულა რა ტიპის კონფლიქტთან გვაქვს საქმე, რამეთუ კონფლიქტი რიგ შემთხვევებში იღებს სახელმწიფოთაშორისი დავის სახეს ზოგჯერ კი შიდაკონფლიქტის სახეს.

კონფლიქტის მთელი ამ პერიოდის მანძილზე აზერბაიჯანი ხაზგასმით ამბობდა, რომ სომხეთმა მოახდინა მისი ტერიტორიის ოკუპაცია, რომელსაც დღემდე აგრძელებს, ხოლო სომხეთი რიგ შემთხვევაში აცხადებს, რომ მთიანი ყარაბაღის სომხები აწარმოებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. თითქოს სომხეთი ცდილობს მოიხსნას კონფლიქტში ჩართული მხარის როლი, თუმცა ქვეყნის შიდაპოლიტიკაში აღიარებს უდიდეს როლს და მონაწილეობას აღნიშნულ კონფლიქტში.

კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირება ორივე ქვეყნისათვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი საუკეთესო პირობა ისევ მოლაპარაკების წარმოებაა ორივე მხარეს შორის. აზებაიჯანსა და სომხეთში არსებული სამოქალაქო განწყობები კი დღემდე არ იძლევა იმის იმედს, რომ შესაძლოა მიღწეულ იქნას რაიმე სახის კომპრომისები.

რაც შეეხება კონფლიქტების დარეგულირებს საკითხს აფხაზეთსა და ოსეთში დროსთან ერთად თითქოს უფრო დიდი კედელი იმართება კონფლიქტის გადაჭრის კუთხით. აფხაზეთი იმყოფება იმ რეალობაში, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი

რუსულ განწყობებს ატარებს. აფხაზეთის ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკა დამოკიდებულია რუსულ ბაზარზე. იმ რთული სიტუაციებიდან გამომდინარე, რომელშიც იმყოფება აფხაზეთი და ცხინვალი, დაბრუნება ამ ტერიტორიებზე საქართველოსათვის შეუძლებლად ისახება. აუცილებელია საქართველომ გააძლიეროს თანამშრომლობა ევროკავშირთან, ასევე აუცილებელია გააძლიეროს ქვეყნის შიდა ინსტიტუტები და ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს იმიჯს საერთშორისო არენაზე. ასევე, უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება სამხედრო ჯარების გაყვანას კონფლიქტური რეგიონებიდან, სადაც რუსები „მშვიდობისმყოფელების“ სტატუსით დგანან.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების დარეგულირება ვერ მოხერხდება დასავლეთის გარეშე. პოლიტიკური გარანტიები და მხარდაჭერა საკმაოდ მაღალია საქართველოს მიმართ, რომელიც ერთის მხრივ აღიქმევა საფრთხეთ რუსეთისათვის და მისი უსაფრთხოებისათვის და ბადებს რისკს ნატოს ჯარის განთავსებისა, ხოლო მეორეს მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოსათვის, რომელიც მხარს უმაგრებს მას, მიაღწიოს სასურველი დონე საერთაშორისო არენაზე. ევროკავშირის სამშვიდობო საქმიანობა კი ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. ევროპის კავშირმა უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს კონფლიქტების დასარეგულირებლად რამეთუ ,,ფართო ევროპის“ ინიციატივაში იგი იღებს პასუხისმგებლობას აქტიურად იყოს ჩართული თავისი საზღვრების მახლობლად არსებული კონფლიქტების მოგვარებაში. საქართველომ კი თავის მხრივ უნდა მოახდინოს ევროპულ ფაქტორებზე უფრო მეტად აქცენტირება.[21]

როგორც ზემოთ ავღნიშნე, მიუხედავად მრავალი მცდელობებისა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ეთნიკური კონფლიქტების გადაწყვეტა დღემდე ვერ მოხერხდა. ასევე რთულია მოიძებნოს კონფლიქტის გადაჭრის

[21]პიპინაშვილი ზ. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები; „პოლიტოლოგიის ინსტიტუტი“; თბილისი 2009; გვ.220–223

მშვიდობიანი გზები, რამეთუ რეგიონში არსებობენ სახელმწიფოები (მაგ.რუსეთი) რომელსაც ეთნიკური კონფლიქტების არსებობა რეგიონში აწყობს კიდეც.

დესტაბილიზაციის საფრთხის საშიშროება შავი ზღვის რეგიონში იარსებებს მანამ, სანამ არ დარეგულირდება მიმდინარე კონფლიქტები რეგიონში. იმისათვის, რომ მშვიდობიანი სახით გადაწყდეს კონფლიქტი, ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაზრდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აუცილებელია გამოინახოს სათანადო პოლიტიკური ნება და მექანიზმები, პირველ რიგში კი ქართულმა მხარემ უნდა მიაღწიოს შეთანხმებას, რომ რუსეთმა დაიხიოს უკან და გაიყვანოს ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან.

2.2,,გაყინული კონფლიქტები“ და მათი გავლენა რეგიონის აქტორების სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობაზე

რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტების არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებები შეჩერებულია, წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეგიონის პოლიტიკურ–ეკონომიკურ განვითრებასა და მის სტაბილურობას.

შავი ზღვა კასპიისპირეთის რეგიონის აქტუალურობას და მიმზიდველობას მისი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გარდა განაპირობებს მისი ენერგორესურსების უხვი მარაგი. გეოგრაფიული თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიის რეგიონი გვევლინება დამაკავშირებლად ევროპასა და აზიას შორის, რომელსაც ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ეკისრებოდა გეოსტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით.

გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისათვის კავკასიის ქვეყნებს უდიდესი როლი აკისრიათ. სატრანზიტო გზების არსებობა, რეგიონს უფრო მიმზიდველსა და ეკონომიკური განვითარების კუთხით მნიშვნელოვან როლს ანიჭებს.

აშშს მთვარ ინტერესს კავკასიაში წარმოადგენს რუსეთის ,,თამაშგარე“ მდგომარეობაში დატოვება. ასევე აღსანიშნავია, ნატოს ინტერესები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე, რომელსაც დიდი როლი ეკისრება გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ენერგორესურსების წყაროები, რომელიც ევროპის ენერგიით მომარაგების საკითხში იმპორტის ალტერნატივას წარმოადგენს, ამცირებს მის დამოკიდებულებას ენერგომომარაგების საკითხებში არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთთან. ასევე ევროპა-აზიური სატრანსპორტო დერეფნის შექმნა და ,,დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის პერპექტივები, მთავარი არგუმენტია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ნატოში ინტეგრაციისთვის.[22]

რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე ცდილობდა ,,გაყინული კონფლიქტების“ გამოყენებას იმისათვის, რათა რეგიონში გავლენის სფეროები აკონტროლოს და პირდაპირი თუ არაპირი ზეწოლა განახორციელოს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე. გაყინული კონფლიქტების მოგვარების საქმეს ართულებს სომხეთსა და რუსეთს შორის პარტნიორული ურთიერთობა. რუსეთი ასევე ცდილობს კარგი და სტაბილური ურთიერთობები დაამყაროს და შეინარჩუნოს აზერბაიჯანთან, იმის საფრთხე, რომ კონფლიქტები გამწვავდეს და სერიოზულ დაპირისპირებაში გადავიდეს არცთუ ისე მცირედია.

ე.წ. ,,გაყინული“ კონფლიქტების ცნება გავრცელებული შეფასებაა კავკასიის კონფლიქტების, რომელიც მიუხედავად დიდი მცდელობებისასა და მოლაპარაკებებისა, არ იცვლება. კონფლიქტების გეოპოლიტიკური კუთხით განხილვისას, მიმდინარე კონფლიქტები წარმოადგენს რუსეთის მიერ პროვოცირებულ ზეწოლას, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურულ წყაროებში მოიხსენიება როგორც ,,გაყინული კონფლიქტი“. გაყინული კონფლიქტები წარმოადგენენ საშიშროებას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც უშუალოდ კონფლიქტში ჩართული ქვეყნების დესტაბილიზაციისთვის, ისე მთელი

[22] მაისურაძე დ. სამხრეთ კავკასიის ეთნოკონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები; მაისურაძე დ. თელავი 2014; გვ.53–59

რეგიონის. ,,გაყინული კონფლიქტებს“ როგორც წესი, მტერი სახელმწიფო იყენებს მიზანმიმართულად, რათა თავად აკონტროლოს კონფლიქტის მიმდინარეობის ვექტორები, რომელიც აქტიურდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონფლიქტის მხარეები დგებიან განსაკუთრებული გეოპოლიტიკური ცვლილებების წინაშე. რუსეთის მიერ წარმოებული პოლიტიკა მიმართულია არა კონფლიქტების დარეგულირებისაკენ, არამედ პირიქით, ყველაფერს აკეთებს მათ შესანარჩუნებლად და საჭიროების შემთხვევაში მათ გასაღვივებლად. რუსეთის მიზანია მისი გეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, საკუთარი პოლიტიკა აწარმოოს და თავისი კონტროლის ქვეშ მოაქციოს პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საზღვრები.

თუ გადავხედავთ მიმდინარე კონფლიქტებს და რუსეთის მოქმედებებს, მკაფიოდ იკვეთება მისი მოქმედების პრინციპი, რომელიც მდგომარეობს ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილებაში, ან შენელებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსეთი გრძნობს ნატოსა და ევროკავშირისკენ სწრაფვას კავკასიის ქვეყნების. იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ კავკასიაში ადგილი ექნება მკაფიო დაპირისპირებებს, ეთიკურსა თუ სამხედრო დაპირისპირების სახით, ვფიქრობ ევროკავშირის და ნატოს ინტერესი კავკასიის ქვეყნების მიმართ და ზოგადად რეგიონის მიმართ შენელდება. იმ შემთხვევაში თუ რეგიონში დადგება სამხედრო დაპირისპირების საფრთხე, ეკონომიკური წინსვლა და დესტაბილიზაცია გარდაუვალი ხდება.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები განეკუთვნებიან შეიარაღებული კონფლიქტების რიცხვს: მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის, ,,სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტულმა რეგიონებმა იარაღის მეშვეობით მოიპოვეს დე-ფაქტო მდგომარეობა, მიუხედავად მრავალი მცდელობებისა კონფლიქტების დარეგულირები საკითხში, ქვეყნებს შორის მიმდინარე დაპირისპირება ,,გაყინული კონფლიქტების“ სტადიაზეა. იქიდან გამომდინარე, რომ კავკასია ისტორიიდან მოყოლებული დღემდე გამოირჩეოდა ეთნიკური მრავალფეროვნებით და

წარმოადგენდა ცენტრს, სადაც ერთმანეთს ეჯახებოდა განსხვავებული კულტურები და ინტერესები კონფლიქტურობით გამოირჩეოდა ოდითგანვე.

ყარბაღის კონფლიქტის განახლების საშიშროება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს როგორც ქვეყნის განვითრებას, ასევე მის ეროვნულ უსაფრთხოებას, რამეთუ კონფლიქტის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოდინებამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების დაპიისპირება, რომელსაც რუსეთი უსათუოდ თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. საერთო ჯამში ამ გარემოებას შეუძლია დიდი საფრთხე შეუქმნას საქართველოს ეკონომიკას, სუვერენიტეტს და ასევე ენერგოუსაფრთხოებას.

კავკასიაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არა მარტო მოცემული რეგიონის ქვეყნებზე, არამედ მსოფლიო ტრანსრეგიონალურ პროცესებზეც, მათ შორის ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზე რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა ნატოს გეოეკონომიკური ინტერესები რეგიონში. კავკასია შეიძლება განვიხილოთ ნატოს ,,მოწინავე თავდაცვის“ სტრატეგიის ტერიტორიადაც, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს.

რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, მისი განვითარების უდიდეს ხელისშემშლელ ფაქტორად, რეგიონის არასტაბილურობიდან გამომდინარე წარმოადგენს ,,გაყინული კონფლიქტები“, რომლის გაღვივების საფრთხე გეოპოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ იზრდება. ეკონომიკური და გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე ევროკავშირი და აშშ არ იშურებენ ძალისხმევას და დაინტერესებულნი არიან რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებით. ხოლო რუსეთი გვევლინება როგორც კონფლიქტის მესამე მხარე მოლაპარაკების პროცესში, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კონფლიქტის მოუგვარებლობა და გამწვავება, რითაც იგი

მოაზრებული იქნება როგორც ძირითადი აქტორი კონფლიქტის დარეგულირების საკითხში.

გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების ეპოქა კავკასიის რეგიონს სულ უფრო მეტად მიმზიდველს ხდის. ,,გაყინული კონფლიქტები" რომელიც ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება რეგიონის ეკონომიკური განვითარების, საჭიროა მეტი მობილიზება რეგიონის აქტორების მხრიდან რათა მოხდეს თანამშრონლობის გაღრმავება . საქართველოსა და აზერბაიჯანის მზარდი მნიშვნელობა საერთაშორისო არენაზე სულ უფრო მეტად იზრდება, რამეთუ ორივე ქვეყანა მონაწილეობს ფართომასშტაბიან სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში. ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში აზერბაიჯანსა და საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რადგანაც აზერბაიჯანის ენერგეტიკული პოტენციალი თანმიმდევრულად იზრდება და მისი მიზანია თავისი პროდუქტის ევროპის ბაზრისთვის მიწოდება, საქართველომ კი თავისმხრივ დაიმკვიდრა პოზიცია, როგორც წამყვანმა სატრანზიტო ქვეყანამ. დასავლეთის ქვეყნები დაინტერესებულნი არიან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებით. აზერბაიჯანი, რომელიც ნავთობისა და გაზის უდიდესი მარაგით გამოირჩევა, მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ აქტორს წარმოადგენს. ენერგომატარებლების მარშუტის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია რეგიონსათვის, თუმცა ამ და ზემოჩამოთვლილი ეკონომიკური ინვესტიციების განსახორციელებლად აუცილებელია რეგიონში არსებობდეს სტაბილურობა, რომელიც უფრო მეტად გააღრმავებს რეგიონში ეკონომიკურ პოტენციალს.[23]

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფანი ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ ენერგომარშრუტი, ნავთობი და გაზი მასში უდიდეს როლს თამაშობს. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ-

[23]სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერპექტივები; სამეცნიერო კონფერენცია; ბათუმი 2010; გვ.36–37

დასავლეთ დერეფნის, როგორც ორ ზღვას შუა სახმელეთო გადასასვლელის, ფუნქციონერისათვის არსებითი მნიშნელობა ენიჭება სარკინიგზო ტრანსპორტს. ევროპისათვის ენერგომომარაგების დივერსიფიკაცია აუცილებელი ფაქტორია, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ნედლეულის ხელმისაწვდომობა, ახალი ბაზრების გახსნა, ახალი სავაჭრო გზებისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარება ამ რეგიონში, რომელიც ევროპის მეზობელია.[24]

საერთაშორისო გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისათვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სატრანზიტო როლი ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. რეგიონის აქტორების მხრიდან ეკონომიკისა და ინვესტიციების მობილიზაცია ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას, მათ შორის კი რეგიონის პოლიტიკური სტაბილურობის ხარისხის გაზრდას. ყოველივე ზემოაღნიშნულის წარმატებული გადაწყვეტა რეგიონის ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გააღრმავებს ურთიერთობებს, რაც ასევე იქნება საფუძველი რეგიონული თანამშრომლობის განვითარების.[25]

რუსეთის ფედერაცია ცდილობს რეგიონში შექმნას იმიჯი და არასტაბილურობის განცდა, რათა პირველ რიგში საერთაშორისო თანამეგობრობას აგრძნობინოს, რომ რეგიონი იმყოფება მუდმივი საფრთხის ქვეშ სამხედრო მოქმედებების განახლების, ასევე რუსეთი ცდილობს გააკეთოს პროპანგა იმისა, თითქოსდა ინპირაციის მთავარი წყარო არიან ქვეყნები , რომელიც უშუალოდ არიან ჩართულნი კონფლიქტში, რომელსაც ხშირად მოიხსენიებს როგორც ,,არშემდგარ სახელმწიფოებს“.

იმისათვის რათა ,,გაყინული კონფიქტების“ გავლენა რეგიონის ეკონომიკურ განვითრებარზე მინიუმამდე იქნეს ასახული, აუცილებელია კავკასიის ქვეყნების

---

[24].სმიტი დ. აზერბაიჯანი და საქართველო: სამხრეთ-კავკასიის აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფნის მყარი სტრატეგიული მნიშვნელობა; 2014; გვ.8–10

[25]სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერპექტივები; სამეცნიერო კონფერენცია; ბათუმი 2010; გვ.21–22

ეკონომიკის გაძლიერება და შიდა ინსტიტუტების ხელშეწყობა, რომელიც ევროპულ ინვესტიციებს ნაკლები საფრთხეს აგრძნობინებს.

2.3 საქართველოსა და აზერბიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები და ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის საკითხი

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ დოკუმენტს, რომელშიც კარგადაა ჩამოყალიბებული ეროვნული ღირებულებები და ინტერესები. აღნიშნული კონცეფცია აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.[26]

საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფციაში მკვეთრად იკვეთება საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება, რათა ქვეყანაში დაამკვიდრონ დემოკრატია, ეკონომიკური თავისუფლება და დაცვა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა. სახელმწიფო დამოუკიდებლობა და საერთაშორისო აქტორებთან კეთილმეზობლური ურთირთობა.

მიმდინარე პროცესებმა როგორც გლობალური, ასევე რეგიონული მასშტაბით შეცვალა როგორც ეროვნული უსაფრთხოების გარემო, ასევე მიდგომები მის მიმართ. რუსეთის მიერ განხორციელებულმა აგრესიამ კავკასიის რეგიონზე, მეტად დიდი საფრთხის ქვეშ დააყენა რეგიონის სტაბილურობის საკითხი. კავკასიის რეგიონში არსებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ასევე დიდ უარყოფით გავლენას ადენს როგორც რეგიონზე, ასევე საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზეც. რეგიონში სიმშვიდისა და სტბილურობის დამყარება საქართველოსათვის მრავალ პოზიტიურ შედეგს ბადებს. რუსეთის მიერ განხორცილებულმა 2008 წლის ომმა გააუარესა როგორც საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტია, ასევე საფრთხე შეუქმნა ზოგიერთი ქვეყნის სწრაფვას ევროპულ კავშირებში.

---

[26]საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებს კონცეფცია
http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx

საქართველო ღიად და მკაფიოდ აცხადებს მის საგარეო–პოლიტიკურ კურსს, რომელიც მოიცავს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას. საქართველო მჭიდრო კავშირშია დემოკრატიულ სახელმწიფოებთან და მაქსიმალურად ცდილობს ქვეყანაში დანერგოს მაღალი ხარისხის სტანდარტები რომელიც შეეხება განათლებას, თავისუფალი სავაჭრო–ეკონომიკის განვითარებას, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას ქვეყნის შიგნით და სხვ.

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგება და ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციის განხორციელება. იმისათვის რათა მოხდეს დეოკუპაცია, საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო მეტად ჩართულობა რათა მიღწეულ იქნას მოლაპარაკებები რუსეთთან, რომელიც აიღებს ვალდებულებას ძალის გამოუყენებლობაზე და გაიყვანს ჯარებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ეს ფაქტი დადებით გავლენას იქონიებს როგორც საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოების განმტკიცებაზე, ასევე დადებითად იმოქმედებს კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან გადაჭრაზე. მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე საერთაშორისო საზოგადოებისგან მზარდი მხარდაჭერა, რათა გაგრძელდეს ოკუპირებული ტერიტორიების არ აღიარების პროცესი.

საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო რომელიც პატივს სცემს როგორც მეზობელი, ასევე სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს , შესაბამისად იგივეს ელის მათგანაც. საქართველოს მკაცრად აქვს ჩამოყალიბებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელში ჩარევაც უხეშ დარღვევად ითვლება სახელმწიფოების მრიდან. საქართველოში ადამიანის უფლებები დაცულია როგორც კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო პაქტებით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. საქართველო უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის თავისუფლებას. იგი უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას და უქმნის ხელსაყრელ პირობებს ყველა მოქალაქეს განვითარებისათვის. საქართველო დემოკრატიული განვითარების პრინციპებზე დგას და იგი დიდ ყურადღებას

უთმობს უმცირესობათა უფლებების დაცვას, მათ შორის ეთნიკური, რელიგიური, და ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია მრავალეთნიკურ საზოგადოებად ჩამოყალიბება რომელიც იზრუნებს ეროვნული უმცირესობების თანაბარ ჩართულობაზე ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან ურთიერთობის გაღრმავება და მათი ჩართვა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებში. როგორც ვიცით კავკასია სახლია მრავალი ეთნიკური, რელიგიური ჯგუფებისა, მათი ტოლერანტულობა და ჰარმონიული თანაურთიერთობა კი პირდაპირკავშირშია მთლიანად რეგიონში სტაბილურობის, განვითარების და კეთილდღეობის.

სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით ხაზგასასმელია, რომ საქართველო უზრუნველყოფს მოქალაქეების ინტეგრაციას, მრავალფეროვნების განვითარებასა და დაცვას. ასევე პრიორიტეტულია ეთნიკური უმცირესობათა განვითარებისა და დაცვის საკითხი, რაც გულისხმობს ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას და ჩართვას ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ასევე დიდ გამოწვევას წარმოადგენს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული ეთნიკური კონფლიქტის დარეგულირება. საფრთხე, რომელიც შეიძლება დადგეს კონფლიქტის დაწყებით, არის რუსეთის გაძლიერება რეგიონში, რომელიც შეეცდება მაქსიმალურად გავლენის ქვეშ მოქცევას რეგიონის ქვეყნების.

მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების ესკალაციის პროცესი ქვეყნისათვის სერიოზული საფრთხეა და მას შესაძლოა ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოჰყვეს. მეზობელ ქვეყნებში არსებულმა კონფლიქტებმა შესაძლოა განაპირობოს საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილთა მასობრივი შემოდინებადა შექმნას ხელსაყრელი პირობები

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებისა და კონტრაბანდისათვის, რომელსაც აძლერებს აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე კონტროლის არარსებობა.[27]

თუ გადავხედავთ დღევანდელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას კავკასიის რეგიონში, დავინახავთ რომ საქართველო უდიდესი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას. საქართველომ გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ვფიქრობ ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნება თავის სასიკეთოდ უნდა შემოაბრუნოს. საქართველო უნდა გამოდიოდეს გამაერთიანებელის სტატუსით, რომელსაც ასევე დიდი როლი ენიჭება მეზობელი ქვეყნების კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის სტაბილურად განვითარება და მშვიდობის დამყარება რომელშიც უდიდესი როლი ეკისრებათ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს.

საქართველოში ეროვნული უმცირესობების დაცვისა ინტეგრაციის თვალსაზრისით პოზიტიური ცვლილებები მიმდინარეობს. სახალხო დამცველი აპარატი, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ერთ–ერთ მთავარ გარანტად გვევლინება, ყოველთვის ჩართულია ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებში და ეხმარება მათ პრობლემების გადაჭრაში. საქართველოში დაფუძნებულია მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო–ეროვნულ უმცირესობათა საბჭო რომელიც აერთიანებს საქართველოში მმოქმედ ორგანიზაციებს, რომლებიც ეროვნული უმცირესობების დაცვის კუთხით მუშაობენ. საბჭოს უდიდესი როლი აკისრია ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციისა და დაცვის საქმეში. იგი შუამავალია სახელმწიფოსა და უმცირესობებს შორის, რომელიც ცდილობს ის პრობლემები და საკითხები რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს ყურადღებას არ დარჩეს პასუხგაუცემელი.

[27] მაისურაძე დ. სამხრეთ კავკასიის ეთნოკონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები;. თელავი 2014; გვ.24–38

სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის დონის განსაზღვრის ერთ–ერთი უმთავრესი კრიტერიუმია. საქართველოში გათვალისწინებულია მთელი რიგი დებულებები, რაც ადეკვატურ პირობებს ქმნის, რათა სამართლებრივ დონეზე დაცული იყოს პირობები უმცირესობებისათვის, პოლიტიკურ და სამართლებრივ დონეზე. მიუხედავად იმ პოზიტიური ცვლილებებისა, რაც ხორციელდება საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით, ვფიქრობ არასაკმარასია. ხშირ შემთხვევაში უმცირესობების მხრიდან ჩაურევლობის და უინტერესობის გამოხატულება კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მიუთითებს ისევ და ისევ ქვეყანაში არამართებულ მექანიზმებზე.[28]

აზერბაიჯანის რესპუბლიკა მდებარეობს სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში სამხრეთ-დასავლეთი აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის გზაჯვარედინზე. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება კასპიის ზღვა, ჩრდილოეთით რუსეთი, ჩრდილო-დასავლეთით საქართველო, დასავლეთით სომხეთი და სამხრეთით ირანი.

აზერბაიჯაის ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საზღვრების ხელშეუხებლობა, მდგრადი განითარება, ხალხის ღირებულებების დაცვა, მათი უზრუნველყოფა და კეთილდღეობა.

აზერბაიჯანის ეროვნულ ინტერეებში შედის აზერბაიჯანის პოლიტიკური–სოციალური კეთილდღეობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და უსაფრთხოების გაძლიერება, საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების ხელშეწყობა.

---

[28] დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტის ტრანსფორმაცია საქართველოში; 2012; გვ.54–60

აზერბაიჯანისთვის პრიორიტეტულია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება, რომელსაც იგი ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში წევრობით თუ მოაგვარებს. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური და სოციალური განვითარება.

აზერბაიჯანის მიერ გატარებულ რეგიონულ პოლიტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთან კავშირებს, რადგან კასპიის ენერგორესურსების საექსპორტო მაგისტრალური მილსადენების უმეტესობა საქართველოს ტერიტორიაზე გადის. [29]

აზერბაიჯანის საერთაშორისო უსაფრთხოების კონცეფცია ხაზს უსვამს ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვას. აზერბაიჯანის პოლიტიკა გამომდინარეობს დებულებიდან, რომელიც ხაზს უსვამს ყველ მოქალაქის თანასწორობას, შემწყნარებლობასა და ტოლერანტული გარემოს შექმნას. ქვეყანაში ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვა უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს აზერბაიჯანის. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ისარგებლოს მშობლიური ენის გამოყენებით.

საქართველოში აზერბაიჯანელების ყველაზე დიდი რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონში, მარნულსა და გარდაბანშია. ქართული სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს სხვადასხვა გაძლიერებული პროგრამების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ რეგიონებში ქართული ენის სწავლასა და უმცირესობების ჩართვას სახელმწიფო მართვის პროცესში.

ძირითადი პრობლემები, რომელიც აქვთ ქართველ ეთნიკურ უმცირესობებს აზერბაიჯანში, კერძოდ კი კახში და ზაქალათაში არის ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პრობლემები.

[29] კვიციანი ჯ. ,,კავკასია და კავკასიელები“ თბილისი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“ 2012; გვ.132–133

პრობლემები რომელიც არსებობს კახში ეხება განათლებას ,ჯანდაცვას, კულტურასა და სხვა საკითხებს. ამ პრობლემების მოგვარებისათვის კი აუცილებელია საერთო ნებისა და აზრის გამოხატვა ორივე ქვეყნის, რამეთუ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების უფლებები ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის შესავალში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ჩარჩო რომელიც ნაშრომში გამოვიყენე შედგებოდა დემოკრატიული, კონსტრუქტივიზმის, ინგლისის სკოლისა და კაუფმანის თეორიებისაგან.

დემოკრატიული თეორია, რომელიც სოციალური თანასწორობის დემოკრატიული მონაწილეობის პირობაა გამოვიყენე ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემებისა და მათი ინტეგრირებულობის ხარისხის განხილისას საქართველოს მაგალითზე. კვლევამ აჩვენა, რომ ისტორიის კვალდაკვალ, მიუხედავად იმ პოზიტიური ცვლილებებისა, რაც ეხება საზოგადოების დამოკიდებულებას, სახელმწიფო პოლიტიკას, ინტიტუციების გაძლიერებასა თუ უმცირესობების ჩართულობას სახელმწიფო პოლიტიკაში მაინც არასაკმარისია. გარემო სადაც უმცირესობები ცხოვრობენ, შესაძლოა ერთი შეხედვით უფრო ტოლერანტული ჩანდეს შორიდან, ვიდრე ეს რეალურადაა.

საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართვა და მათი მშობლიური ენის გამოყენების შესაძლებლობა გაამყარებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს ქვეყანაში და შექმნის ტოლერანტულ გარემოს ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობისა და ინტეგრირებულობის კუთხით.

კონსტრუქტივიზმის თეორია, რომელიც ყურადღებას აქცევს არა მარტო იდეების და რწმენების გაზიარების ფაქტს, არამედ იმას, თუ რამდენადაა ისინი გაზიარებული გამოვიყენე ნაშრომის მეორე თავში, ეთნკური უმცირესობების, როგორც დემოკრატიული მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტის კვლევისას კავკასიის რეგიონში. ეთნიკური კონფლიქტები, რომელიც კავკასიის რეგიონში დღემდე გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს გვევლინება როგორც პოლიტიკური

თამაშის ობიექტი, რომელიც გარე ძალების ჩარევისათვის ძალზედ ნოყიერ რეგიონს წარმოადგენს ეთნიკური მრავალფეროვნების კუთხით, სადაც ნებისმიერ კონფლიქტს, მესამე, მტერი სახელმწიფოს მხრიდან შესაძლოა ეთნიკური სახე მიეცეს. რეგიონი რომელიც გადაქცეულია დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების ზონად, სადაც ერთმანეთს როგორც გლობალური, ასევე რეგიონალური აქტორები უპირისპირდებიან. ეთნიკური უმცირესობების რწმენები, იდეები კონსტრუქტივიზმის მიხედვით ამ შემთხვევაში გამოყენებულია მათ საწინააღმდეგოდ და ეთნიკური შუღლის გასაღვივებლად.

ინგლისის სკოლა– საფუძველშივე აღიარებს ძალის მნიშვნელობას და სახელმწიფო სისტემას, განიხილავს როგორც კონსტიტუციისა და ძალის ერთობას. აღნიშნული თეორია განვიხილე პირველ ქვეთავში, უმცირესობათა იტეგრაციის პროცესისა და 21–ე საუკუნის გამოწვევების განხილვისას. საერთაშორისო ორგანიზაციების მიზანს, რომლებმაც შესთავაზეს ქვეყნებს კანონი ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, წარმოადგენდა ქვეყნების მიერ აღება ვალდებულებებისა კონვენციის შესაბამისად, რათა დაეცვათ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ვალდებულებები, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა. ქვეყნები იღებდნენ ვალდებულებას, რომ ამ კონვენციის შესაბამისად დაეცვათ და ხელი შეეწყოთ ეთნიკური უმცირესობების უფლებებისათვის, რაც ვალდებულად ქონდათ ნაკისრი.

კაუფმანის ,,ეთნიკური ომების“ თეორია, რომელიც პოლიტიკურ კონფლიქტს სოციალური კონფლიქტის ერთ–ერთ სახედ მიიჩნევს დავაკავშირე 2.1 ქვეთავთან, რომელშიც განვიხილე კავკასიის რეგიონში არსებული ეთნიკური კონფლიქტები და მათი აღმოფხვრის პერსპექტივები.

ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობის არსი ძირითადად მომდინარეობს იდეიდან, რომლის მიხედვითაც, ეთნოსს უჩნდება პრეტენზია საკუთარი თვითმყოფადობის სრულად დაცვის მიზნით შექმნას საკუთარი სახელმწიფო.

ეთნოსებს შორის ურიერთობები ძირითადად კონფლიქტოგენური ხასიათის მატარებელია. მითუმეტეს, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ხდება დაუბალანსებელი პოლიტიკის წარმოება და მრავალი მცდარი ნაბიჯების გადადგმა, დაპირისპირების რისკი კიდევ უფრო იზრდება.

საკვლევი კითხვები რომელიც დაისვა თემის შესავალ ნაწილში მაქსიმალურად იქნა პასუხგაცემული.

1. რატომ არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე?

ეთნიკური უმცირესობების კუტურისა და ღირებულებების დაცვა, ხელს უწყობს მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას. მსოფლიოში არსებობს მრავალი კონფლიქტი, რომელიც ეთნიკურ ნიადაგზეა დაწყებული. იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი კონფლიქტები, აცილებელია სახელმწიფო, როგორც შიდა პოლტიკურ, ასევე საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე იცავდეს ეთნიკური უმცირესობების უფლებებს და იდგეს სადარჯოზე, რათა დაკმაყოფილებული იქნას მათი საჭიროებები. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა ხელს უწყობს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. უმცირესობების უფლებები, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ნაწილსაც, მნიშვნელოვანია საერთაშორისო თვალსაზრისითაც, ამიტომ სახელმწიფოები ცდილობენ დაიცვან ეთნიკური უმცირესობების უფლებები და საერთაშორისო ვალდებულებები, რომელი გულისხმობს თავისუფლებას–დისკრიმინაციისაგან.

2. რა კავშირშია ეროვნულ უსაფრთხოებასთან ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხი და როგორ აისახება მისი აღსრულება ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკურ სტატუსზე?

კვლევამ აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე უმნიშვნელოვანესია, რომელიც პირდაპირ აისახება ქვეყნის უსაფრთხოებასა და იმიჯზე საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

მრავალი ქვეყანა, რომელიც ეთნიკური მრავალფეროვნებითა და სიჭრელით გამოირჩევა, 21–ე საუკუნეშიც კი წარმოადგენს ნოყიერ ნიადაგს დაპირისპირების გასაღვივებლად, სადაც ეთნიკური უმცირესობები, შესაძლოა გამოყენებულნი იქნან შუღლისა და დაპირისპირების გასაღვივებლად, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასა და სტაბილურ განვითარებას. ქვეყნებში, სადაც უხეშად დარღვეულია ადამიანის უფლებები და მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისა, ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკურ სტატუსზე და გავლენაზე პირდაპირ აისახება მსგავსი ქმედებები.

3. როგორ აისახება ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის თემა რეგიონული სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების პირობებზე?

რეგიონული სტაბილურობის დაცვის კუთხით, ეთნური უმცირესობების დაცვის საკითხი უმნიშვნელოვანესია, რომელიც ისტორიის განვითარების კვალდაკვალაც ნათელი გახდა. ქვეყანაში და რეგიონში სტაბლური პოლიტიკურ–ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელია მაქსიმალურად იქნეს ხელშეწყობილი და დაცული ეთნიკური უმცირესობების უფლებები.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხი საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე პირდაპირ კავშირშია ეროვნულ უსაფრთხოებასთან და მისი დაცვის საკითხი ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკურ სტატუსზე 21–ე საუკუნეში უდიდეს გავლენას ახდენს.

იმ სამართლებრივი წინააღმდეგობების ფონზე, რაც სუფევს ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპებს შორის, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გადაიქცა

არამარტო ცალკეული ქვეყნების, არამედ გლობალური უსაფრთხოების უმწვავეს პრობლემად.

სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვა, გონივრული მიდგომები, და შესაბამისი რეაგირება პრობლემებზე მნიშვნელოვნად გაზრდის თანამშრომლობას და ჩართულობას ეთნიკური უმცირესობების. უმცირესობების ჩართულობა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების პროცესში და ეფექტური მონაწილეობა გაზრდის ქვეყანაში ურთიერთობასა და თანამშრომლობას უმცირესობასა და უმრავლესობას შორის და ასევე ხელს შეუწყობს მზარდ ეკონომიკურ განვითარებას .

ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის გასაღრმავებლად მნიშვნელოვანია რომ სახელმწიფომ გაატაროს სწორი და ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა და შეიმუშაოს კულტურული მრავალფეროვნების მართვის ინსტიტუციური მეთოდები და მექანიზმები.

ინტერესი კავკასიის რეგიონის მიმართ განპირობებულია მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, გეოსტრატეგიული მნიშვნელობით და იმ უხვი ბუნებრივი რესურსების არსებობით რომელიც მდებარეობს ენერგორესურსებით მდიდარ კასპიის აუზთან. რეგიონი წარმოადგენს დასავლეთის დამაკავშირებელ ხიდს ცენტრალურ აზიასთან.

კავკასიის რეგიონში არსებული ეთნიკური უმცირესობები, რომელიც რეგიონის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ, ხშირად ხდებიან სისტემატური და სერიოზული უფლებების დარღვევის წინაშე, რაც საერთო ჯამში იწვევს რეგიონში არასტაბილურობას და ზრდის კონფლიქტების დაწყების ალბათობას. ძირითადად კავკასია ხასიათდება ეთნიკური დაპირისპირების სივრცედ, სადაც დაძაბულობისა და დაპირისპირების საფუძველს წარმოადგენს არა მხოლოდ ეთნიკური მრავალფეროვნება, არამედ გავლენას ახდენს სოციალურ–ეკონომიკური და ასევე ისტორიული წარსული. სამხრეთ კავკასიის რეგიონის მოუგვარებელი და პირველხარისხოვანი პრობლემების რიგში ეთნოპოლიტიკური

კონფლიქტები დგას. ყარაბაღი და საქართველოს სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენენ უდიდეს გამოწვევას, როგორც საქართველოსთვის, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის.

პოსტსაბჭოთა სივრცემ, და დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნამ რომელიც ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა წარმოშვა ახალი პოლიტიკური და ეთნიკური დაპირისპირებები. დაპირისპირებებმა და ,,გაყინული კონფლიქტების" წარმოქმნამ რეგიონში შეანელა რეგიონის უსაფრთხო და მშვიდობიანი განვითარება. დღესდღეობით მსოფლიოში და კავკასიაში მიმდინარე მრავალ შეარაღებულ კონფლიქტსა და ეთნიკურ დაპირისპირებას შორის კავშირი ნათელია. კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, უმცირესობათა უფლებების დაცვის მიზნით, საჭიროა უფლებამოსილი ეროვნული ორგანოების შექმნა, რომელიც იმუშავებს პრობლემების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაზე.

რუსეთის მოქმედების კონტურები კავკასიის ქვეყნებზე კიდევ უფრო მეტად დამაბრკოლებელია, რამეთუ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, დიდი მცდელობის მიუხედავად კონფლიქტის დარეგულირებისა და მოგვარების საკითხში, რუსეთი ცდილობს კიდევ უფრო მეტად დაძაბვას სიტუაციის. გარე ფაქტორებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, რამეთუ რეგიონის აქტორების და ზესახელმწიფოების მეტოქეობა რეგიონში, გავლენის სფეროების მოპოვების მიზნით, კიდევ უფრო მეტად რთულს ხდის კონფლიქტების დარეგულირებასა და გადაწყვეტას. მთავარი პრობლემა, რომელსაც იწვევს ,,გაყინული კონფლიქტების" მოუგვარებლობა კავკასიაში, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქმნის შავი ზღვა–კასპიისპირეთს, არის სეპარატიზმის, ექსტრემიზმის, კონტრაბანდის და დანაშაულების გავრცელება მთელს რეგიონში. კონფლიქტების შვიდობიანად დარეგულირებაში უდიდესი როლი აკისრიათ ევროკავშირსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რამეთუ მეზობელ რეგიონში როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური უსაფრთხოება

პირდაპირ დაკავშირებულია მათ ეკონომიკურ კეთილდღეობასთან და გეოსტრატეგიულ ინტერესებთან.

იმ შემთხევაში, თუ მსოფლიოში არ განხორციელდა სასურველი პოლიტიკური ძვრები და ცვლილებები, რაც გულისხმობს საგარეო აქტორების გაძლიერებას და მათი მხრიდან მეტ ჩართულობას კონფლიქტების დარეგულირების საკითხში, სავარაუდოა რომ ,,გაყინული კონფლიქტები" გრძელვადიანი პერიოდით დარჩება მოუგვარებელ საკითხად კავკასიის რეგიონში.

ჰიპოთეზა რომელიც ნაშრომში დასმული იყო შემდეგი სახით: ,,ეთნიკურ უმცირესობათა დაცვა, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებითი კომპონენტი, განსაკუთრებით კავკასიის რეგიონში, გადაიქცა თითოეული აქტორისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნული ინტერესის სტატუსად და მისი შეზღუდვა წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის ექზისტენციურ საფრთხეს, რომელსაც შეიძლება მოყვეს მაღალი დონის რეგიონალური დესტაბილიზაცია" თემის კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული ჰიპოთეზა დადასტურდა როგორც საერთაშორისოდ განხილული მაგალითებით, ასევე კავკასიის რეგიონში განხილული ეთნიკური პრობლემებისა და ეთნიკური კონფლიქტების განხილვისას. კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტური სიტუაცია საფრთხის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს საერთაშორისო თვალსაზრისითაც. ეთნიკური კონფლიქტები, რომელიც საერთაშორისო დანაშაულის რანგშია აყვანილი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა დემოკრატული საზოგადოების ღირებულებითი კომპონენტია, ხოლო მისი დარღვევა საერთაშორისო თვაალსაზრისით, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ასიმეტრიული საფრთხეების კონტექსტში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კავკასიის რეგიონში არსებულ უსაფრთხოების პრობლემებს განაპიროებს რეგიონში მოქმედი აქტორების განსხვავებული ეკონომიკური, და ეროვნული ინტერესები, რომელიც კიდევ უფრო

მეტად უწყობს ხელს ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებას და არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნას.

საბოლოოდ კონფლიქტების მშვიდობი გადაწყვეტისა და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისათვის კავკასიის რეგიონში, აუცლებელია საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმაც ყურადღება გაამახვილონ საერთო ინტერესების განსახორციელებლად უფრო ღრმა და აქტიურ კავშშირებზე ევროულ და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან. საკუთარი თვითმყოფადობის დაცვა და გაძლიერება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კავკასიაში კონფლიქტების დასარეგულირებლად. მიუხედავად რეგიონული თანამშრომლობის გზაზე არსებული სირთულებისა და საფრთხეებისა აუცილებელია განხორციელდეს ინტენსიური მოლაპარაკებათა პროცესი როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თყვალსაზრისითაც, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის სტაბილურ განვითარებას და კავკასიის რეგიონში არსებულ ეთნიკურ კონფლიქტებს მინიმუმადე დაიყვანს.

გამოყენებული ლიტერატურა

.

1. აკობია ე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია; თბილისი 2006. გ.ვ. 10 http://politscience.info/filemanager/files/doqtorantura/Oxsford-Teoria-2014.pdf?fbclid=IwAR2tcctdpR8ItbeSLabR-HCFRc_jK9HxBVX9a8BpljKbzNd8nuxKLZJaoKY
2. ადამიანის უფლებათა კომისიის 2002/57–ე რეზოლუციის შესაბამისად, უმაღლესი კომისრის ანგარიში ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებზე კონფლიქტების თავიდან აცილებასთან მიმართებაში. 28 თებერვალი 2003.
3. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) "ეთნიკურ უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა", 2019 https://emc.org.ge/ka/products/erovnul-umtsiresobata-datsvis-shesakheb-charcho-konventsiis-sakonsultatsio-komitetis-sakartveloze-mokhseneba?fbclid=IwAR2bua7psxZMzJTp2D0-PYABRGI7rGEmbyMl8RLudrm74hmrokzR_C20jCw
4. დავითაშვილი ზ. ქართული დიპლომატია; წელიწდეული. თბილისი 2001; გვ: 5–6
5. დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია; სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი; თბილისი 2011 წ. გვ:47 http://issa-georgia.com/files/Reports/UNDP/Report-GEO-001_0_demokratizacia.pdf
6. ეთნიკური ჯგუფები საქართველოში; ამერიკის ხმა; 2012 წ. 27 აპრილი https://www.amerikiskhma.com/a/article----------149269405/1210133.html
7. კვიციანი ჯ. ,,კავკასია და კავკასიელები"; გამომცემლობა „უნივერსალი"; თბილისი 2012. გვ: 125–126
8. მაღრაძე გ. მაისაია ვ. 21–ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია:მითი და რეალობა–

რეგიონული და გლობალური ასპექტები. თბილისი; გამომცემლობა ,,უნივესალი“ 2017წ. გვ.53–57
9. მაისურაძე დ. სამხრეთ კავკასიის ეთნოკონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები; მაისურაძე დ. თელავი 2014; გვ.53–59
10. პიპინაშვილი დ. ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი; თბილისი 2009. გვ.12–18
11. პოლიტიკური თეორია; თბილსი 2014; გვ.11
12. http://politscience.info/filemanager/files/doqtorantura/Oxsford-Teoria-2014.pdf?fbclid=IwAR3L6g2VEH1c1M8tbpMAPgPcGwNwQqeykc6zBjaTiHIKszIBYIw919TkS-4
13. სონღულაშვილი ა. ,,საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა“ თბილისი 2018; გვ.42–43;
14. საკონტაქტო სივრცე კავკასია: ენები,რელიგიები, ხალხები და კულტურები. თბილისი 2017; https://ge.boell.org/ka/2017/04/21/sakontakto-sivrce-kavkasia-enebi-religiebi-xalxebi-da-kulturebi
15. სსრკ ენციკლოპედია, ტომი–5, გვ.69
16. სტუდენტების განწყობა უმცირსობებისადმი და მედიის როლი; თბილისი 2017; გვ.7–11
17. https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi-research-cover-geo-web.pdf?fbclid=IwAR1QrBYzw7LL1F-3kLfbAZAtHk4i8JO_eLc5K5OVr7JvgzZtU1K71UneHyI
18. სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერპექტივები; სამეცნიერო კონფერენცია; ბათუმი 2010; გვ.36–37
19. სმიტი დ. აზერბაიჯანი და საქართველო: სამხრეთ-კავკასიის აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფნის მყარი სტრატეგიული მნიშვნელობა; 2014; გვ.8–10
20. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებს კონცეფცია http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx
21. ჩიქოვანი ნ. რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში; თბილისი 2006; გვ.4–5 http://old.ucss.ge/publication/006%20Religia%20da%20Kultura%20Samxret%20Kavkasiashi.pdf

22. ხაინდრავა ნ. ეთნიკური უმცირესობები: ძირითადი მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი. თბილისი; 2008წ. გვ 4
23. ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი. ოქტომბერი, 1996 წელი. გვ.1–4; 11–14; (https://www.osce.org/ka/hcnm/32185?download=true&fbclid=IwAR0lManrGL7Ie2a2SyLObLWcfRQph1NyB_BmT5DTWK3vMjU0ioJFIVvuBiQ)